დამატებითი სახელშეკრულებო პირობები

თავი I 2
მუხლი 1. შესავალი 2
მუხლი 2. თანხმობა ინფორმაციის დამუშავებაზე ..... Error! Bookmark not defined.
მუხლი 3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი. 5
თავი II 5
მუხლი 4. ზოგადი პირობები 5
მუხლი 5. პროცენტების დარიცხვა საბანკო პროდუქტის თანხაზე 7
მუხლი 6. პროცენტის ცვლილება 7
მუხლი 7. (ამოღებულია) 8
მუხლი 8. საბანკო პროდუქტების გაცემის წინაპირობები 8
მუხლი 9. კლიენტის ვალდებულებები საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებით 9
მუხლი 10. საბანკო პროდუქტების გამოყენების შემოწმება 10
მუხლი 11. კრედიტის წინსწრებით დაფარვა, კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიო 11
მუხლი 12. ვალდებულებების დაფარვა 12
მუხლი 13. ვალდებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები 13
მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა და საბანკო პროდუქტის გამოთხოვა 13
მუხლი 15. ფორს-მაჟორი 14
მუხლი 15[1]. დაზღვევა 14
მუხლი 15[2]. შეტყობინებები 15
თავი III 15
მუხლი 16. გენერალურ ხელშეკრულება 15
მუხლი 17. ბიზნეს ოვერდრაფტის დაშვების შესახებ ხელშეკრულება 16
მუხლი 18. საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება 17
მუხლი 19. მოკლევადიანი საკრედიტო ხელშეკრულება 17
მუხლი 20. ოვერდრაფტის დაშვების შესახებ ხელშეკრულება 17
მუხლი 20[1]. ხელშეკრულება ოვერდრაფტის "Flex Fund" დაშვების შესახებ 18
მუხლი 21. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მიბმულია "ლიბორზე" (აშშ დოლარის 3 თვიან დეპოზიტზე ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების განაკვეთი): 19
მუხლი 22. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების განაკვეთზე (ხოლო რეფინანსირების განაკვეთის არარსებობისას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე): 19
მუხლი 23. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც გაფორმებულია შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტის ფარგლებში: 19
მუხლი 23[1]. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც გაფორმებულია „აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში 20
მუხლი 24. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება 23
მუხლი 25. აკრედიტივის ხელშეკრულებაზე ასევე ვრცელდება შემდეგი პირობები: 23
მუხლი 26. საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება. ბიზნეს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება 24
მუხლი 27. საკრედიტო ბარათით მომსახურების ზოგადი პირობები, რომლებიც ვრცელდება საკრედიტო ბარათით და ბიზნეს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებებზე 26
მუხლი 27[1]. ტერმინთა განმარტება საკრედიტო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაცემულია „ევროპის საინვესტიციო ბანკთან" (EIB) თანამშრომლობის ფარგლებში *(2020 წლის 21 აგვისტომდე გაცემული სესხებისთვის)* 29
მუხლი 27/1[1]. ტერმინთა განმარტება საკრედიტო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაცემულია „ევროპის საინვესტიციო ბანკთან" (EIB) თანამშრომლობის ფარგლებში 31
მუხლი 27[2]. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაცემულია „ევროპის საბჭოს განვითარების ბანკთან" (CEB) თანამშრომლობის ფარგლებში 33
მუხლი 27[3]. სპეციალური პირობები სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემა"-ის ფარგლებში გაცემული სესხებისათვის 34
მუხლი 27[4]. სპეციალური პირობები InnovFin-ის მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო მექანიზმისთვის (InnovFin SME Guarantee Facility): 36
თავი IV 37
მუხლი 28. იპოთეკის ხელშეკრულება 37
მუხლი 29. გირავნობის ხელშეკრულება 38
მუხლი 30. მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ (ცესიის) ხელშეკრულება 40
მუხლი 31. ხელშეკრულება თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ 40

დამატებითი სახელშეკრულებო პირობები

თავი I

მუხლი 1. შესავალი

1. დამატებითი სახელშეკრულებო პირობები (შემდგომში „დამატებითი სახელშეკრულებო პირობები“ ან „წინამდებარე დოკუმენტი“) არეგულირებს ურთიერთობებს სს ,,პროკრედიტ ბანკსა („ბანკი“) და კლიენტ(ებ)ს შორის, წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) შემადგენელ ნაწილს და განსაზღვრავს მხარეთა დამატებით სახელშეკრულებო პირობებს.
2. **წინამდებარე დოკუმენტის I და II თავებში მოცემული მარეგულირებელი დებულებები საერთოა ყველა იმ ხელშეკრულებისათვის, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტი.**
3. (ამოღებულია)
4. კლიენტის შესახებ ბანკში არსებული/დაფიქსირებული პერსონალური ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის (მათ შორის: საფირმო სახელწოდების ან/და სხვა პირადი/სამეწარმეო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის და მონაცემების და ა.შ.) ცვლილებისას კლიენტი ვალდებულია წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნული ცვლილებ(ებ)ის შესახებ. კლიენტის მიერ ცვლილების შესახებ წერილობით შეტყობინებამდე ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ბანკში დაცული/დაფიქსირებული ინფორმაციის შესაბამისად.
5. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით, აცნობოს ბანკს, მის მიერ ბანკისათვის წარდგენილი ნებისმიერი სახის რწმუნებულების/მინდობილობის სტატუსის/შინაარსის შეცვლის, მათ შორის გაუქმების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი თავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან, როგორც კლიენტის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.
6. ნებისმიერ ელექტრონულ ხელმოწერას, ხელმომწერის მიერ გარიგების, ან ნებისმიერი დოკუმენტის დადასტურებას ინტერნეტ ბანკინგით, შეთანხმებული მეილით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ნებისმიერი სხვა სანდო საკომუნიკაციო არხით, აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და გარიგება/დოკუმენტი ძალაშია დადასტურების მომენტიდან. აღნიშნული ფორმით გარიგების/დოკუმენტის დადასტურება არ შეიძლება გახდეს სადაო მატერიალურ დოკუმენტზე ფიზიკური ხელმოწერის არარსებობის გამო.
7. მხარეს არ შეუძლია უარი განაცხადოს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების და ვალდებულებების შესრულებაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მას ხელმოწერა (მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით) არ განუხორციელებია უშუალოდ წინამდებარე დოკუმენტზე (წინამდებარე დოკუმენტის ელექტრონულ და/ან მატერიალურ ვერსიაზე).
8. იმ შემთხვევაში თუ ბანკის მხრიდან რაიმე ვალდებულების შესრულების თარიღი ემთხვევა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ დასვენების ან უქმე დღეს, ან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ დასვენების დღეს, სს ,,პროკრედიტ ბანკი“ ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს მომდევნო სამუშაო დღეს. ბანკსა და კლიენტს შორის არსებული სახელშეკრულებო პირობების მიზნებისათვის, სამუშაო დღე ემთხვევა ბანკის საოპერაციო დღეს.
9. კლიენტი ადასტურებს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია და როგორც სათანადო გამოკვლევის შედეგებიდან ჩანს, ის იცავს და მომავალშიც დაიცავს საქართველოში მოქმედ ეკოლოგიურ, ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმას.
10. ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ან წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე პუნქტის გაუქმება/ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების/წინამდებარე დოკუმენტის და/ან მათი სხვა პუნქტ(ებ)ის გაუქმებას/ბათილობას.
11. წინამდებარე დოკუმენტი მოცემულია ბანკის ვებ გვერდზე www.procreditbank.ge და კლიენტს თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეუძლია გაეცნოს მას.
12. ხელშეკრულების ან დამატებითი სახელშეკრულებო პირობების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის შეუსაბამობის/წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება ქართულ რედაქციას.
13. ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“, საიდენტიფიკაციო კოდი: 204851197, სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება“, ლიცენზიის ნომერი: 233, მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N21, საკონტაქტო ტელ. ნომერი: (032) 2 20 22 22.

მუხლი 1[1]. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **საფინანსო პროდუქტი** - ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებული ნებისმიერი პროდუქტი და მომსახურება.

2. **კლიენტი** - კლიენტს წარმოადგენს ყველა ის პირი, რომელიც არის ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების მხარე და რომელთან დადებული ხელშეკრულების ნაწილიც არის წინამდებარე დოკუმენტი. ტერმინი „კლიენტი“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ კლიენტს, ასევე რამდენიმე კლიენტს ერთად.
3. **დისტანციური საკომუნიკაციო საშუალება** - ბანკის მიერ კლიენტისათვის საფინანსო პროდუქტის შეთავაზებისა და მიწოდებისათვის გამოყენებული კომუნიკაციის საშუალება, რომელიც არ საჭიროებს ბანკის წარმომადგენლისა და კლიენტს ერთდროულ ფიზიკურ თანდასწრებას.
4. **სანდო საშუალება** - მონაცემთა შენახვის ნებისმიერი საშუალება, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს, შეინახოს პერსონალურად მისთვის განკუთვნილი ინფორმაცია ამ ინფორმაციის მიზნების შესაბამისი პერიოდის განმავლობაში და მოახდინოს შენახული ინფორმაციის უცვლელი სახით რეპროდუცირება.
5. **ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი** – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული.

სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. თანხმობა ინფორმაციის დამუშავებაზე

1. ამ მუხლში მოცემული ტერმინების განმარტება:

   ა) **ინფორმაცია** - კლიენტი იურიდიული პირის და/ან ფიზიკური პირის შესახებ საბანკო, კომერციული, კონფიდენციალური, პერსონალური მონაცემების, მათ შორის ბიომეტრიული მონაცემების შემცველი ნებისმიერი ინფორმაცია;

   ბ) **პერსონალური მონაცემი (შემდგომ - მონაცემი)** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად კლიენტ ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით ან სხვა მახასიათებლით;

   გ) **ინფორმაციის დამუშავება** - ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;

   დ) **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით კლიენტისთვის ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ბანკის/პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან/და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან/და მხარდაჭერის მიზნით.
2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით:

2.1. კლიენტი აცხადებს თანხმობას და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, დაამუშავოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ბანკის დამფუძნებელთათვის და მათი მაკონტროლებელი სუბიექტებისათვის, ბანკის შვილობილი საწარმო/ორგანიზაცი(ებ)ისთვის, ხელმისაწვდომი გახადოს სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, აგრეთვე საგადასახადო კონსულტანტებისთვის, აუდიტორებისთვის, იურიდიული მრჩევლებისთვის, სადაზღვევო კომპანიებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის, შემოსავლების სამსახურისთვის და სხვადასხვა მომსახურების გამწევი მესამე პირებისათვის, მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის:

- კლიენტთან არსებობს სახელშეკრულებო/წინასახელშეკრულებო ურთიერთობა;
- კლიენტისთვის ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების გაწევა/გაუმჯობესება/განვითარება;
- კლიენტის განცხადების განხილვა;
- კლიენტის განცხადების გარეშე, ბანკის მიერ, ცალმხრივად, კლიენტისთვის საბანკო/საკრედიტო პროდუქტების შეთავაზება;
- კლიენტის მიმდინარე საკრედიტო პროდუქტების მონიტორინგი და კლიენტის გადამხდელუნარიანობის გადამოწმება;
- ბანკის მიზნებისათვის სხვადასხვა ტიპის კვლევის/მომსახურების განხორციელება/კონსულტირება საგადასახადო და იურიდიულ საკითხებში/აუდიტი;
- ბანკის დამფუძნებელთან ანგარიშგება;
- საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარება;

- პირდაპირი მარკეტინგი;
- სხვადასხვა (ვიზა, მასტერქარდი და სხვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებულ) წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა;
- ინფორმაციისა განახლება/გასწორება/შევსება;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- იძულებით აღსრულება;
- ინფორმაციის დამუშავება საჭიროა ბანკისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ან აუცილებელი ბანკის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2.2. კლიენტის მიერ წინამდებარე თანხმობა გაცემულია ზემოაღნიშნული მიზნებით ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო ვადით.

2.3. მონაცემები შესაძლებელია დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. ამასთან, პირები, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას, უზრუნველყოფენ ინფორმაციის, საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცულ გარემოში შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ინფორმაცია ბანკში ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დამუშავების მიზნის მისაღწევად კანონმდებლობითა და ბანკის წესებით დადგენილი შენახვის ვადების გათვალისწინებით.

კლიენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გამოიხმოს მის მიერ გაცემული თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამუშავებაზე კლიენტის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას კლიენტის მომსახურებაზე და/ან შეწყვიტოს მასთან გაფორმებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება. ამასთან, თანხმობის გამოხმობა არ იწვევს თანხმობის გამოხმობამდე და მის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

2.4. კლიენტი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა; კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე; კლიენტი უფლებამოსილია, მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების გასწორება, განახლება, შევსება, დაბლოკვა, დამუშავების შეწყვეტა, ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და წაშლა და განადგურება, ასევე გადატანა (ინფორმაციის ავტომატური დამუშავების შემთხვევაში), თუ ისინი მცდარია, არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან სადავოა მონაცემთა ნამდვილობა ან სიზუსტე, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა/ხორციელდება კანონის საწინააღმდეგოდ.

3. (ამოღებულია);

4. კლიენტისთვის ცნობილია, რომ სს „პროკრედიტ ბანკი“ უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე მუხლში მითითებული მიზნებითა და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს და დაამუშაოს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

5. სს „პროკრედიტ ბანკი“ შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ები)სათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის/კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის/კლიენტის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

6. კლიენტი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ბანკის ვებ გვერდზე განთავსებული პერსონალური და საბანკო მონაცემების დაცვის პოლიტიკით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.

1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, მრავალჯერადად შეიტანოს ნებისმიერი შინაარსის დამატება/ცვლილება წინამდებარე დოკუმენტში და/ან საბანკო მომსახურების ტარიფებში, რომლითაც:
   ა) ცვლილება შევა უკვე არსებულ უფლებაში და/ან ვალდებულებაში, ან/და განისაზღვრება ბანკის და/ან კლიენტის ახალი უფლება და/ან ახალი ვალდებულება.
   ბ) შეიცვლება უკვე არსებული საკომისიო(ებ)ის/საფასურ(ებ)ის/სხვა სახის გადასახდელი თანხების ტარიფების ოდენობა და/ან დაწესდება ახალი საკომისიო(ებ)ი/საფასურ(ებ)ი/სხვა სახის გადასახდელი თანხები და მათი ტარიფები.
2. განხორციელებული ცვლილებები/დამატებები აისახება წინამდებარე დოკუმენტში, ხოლო ტარიფებში შესული ცვლილებები/დამატებები აისახება ბანკის შესაბამის დოკუმენტში. ცვლილებები/დამატებები ხელმისაწვდომი იქნება ბანკის ინტერნეტ გვერდზე. რომელიც წარმოადგენს ამ დოკუმენტის ნაწილს.
3. იმ ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლისათვის, რომელიც ხორციელდება ბანკის სასარგებლოდ, საკმარისია ცვლილებები განთავსდეს ვებ გვერდზე www.procreditbank.ge, რის თაობაზეც, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, ბანკი ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ორი თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე შეატყობინებს კლიენტს მასთან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის (წერილობით, ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტბანკი, სატელეფონო ზარი და ა.შ.) საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებებს/დამატებებს, კლიენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ბანკს ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილებები/დამატებები შევა ძალაში და კლიენტს არ აქვს უფლება სადავო გახადოს და/ან მოითხოვოს მისი ბათილობა/გაუქმება არავითარი საფუძვლით.
4. ბანკს არ აქვს ცვლილებების/დამატებების შესახებ ინფორმაციის კლიენტისათვის შეტყობინების ვალდებულება, როდესაც ცვლილება/დამატება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.
5. კლიენტი იღებს ვალდებულებას პერიოდულად გაეცნოს ბანკის ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას ცვლილებ(ებ)ის/დამატებების თაობაზე.

თავი II

მუხლი 4. ზოგადი პირობები

1. საბანკო პროდუქტი არის ნებისმიერი სახის კრედიტი (მათ შორის საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი და ა.შ.), აკრედიტივი, საბანკო გარანტია და სხვა ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურება.
2. კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბანკის მომსახურების ტარიფები და ეთანხმება მათ. კლიენტი ვალდებულია აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იქნება საბანკო პროდუტის გაცემასთან და/ან მის მომსახურებასთან.
3. საკომისიოების დაკავება ხდება ბანკის მიერ საბანკო პროდუქტის გაცემისას/მომსახურების დაწყებისას.
4. საბანკო პროდუქტის მიზნობრიობა განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებით.
5. კლიენტის მოთხოვნით მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანის შემთხვევაში (მათ შორის კლიენტის დავალიანების ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში გადაყვანის შემთხვევაში), აგრეთვე უზრუნველყოფის საშუალებების (იპოთეკა, გირავნობა) დატვირთული უფლებებისგან გათავისუფლების ან მათი სხვა უზრუნველსაყოფი საშუალებებით შეცვლის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ხოლო ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს საკომისიო გაწეული მომსახურებისთვის საბანკო პროდუქტის ძირითად თანხაზე არსებული დავალიანების, ხოლო გირაოს/იპოთეკის საგნის ცვლილების შემთხევაში, შესაბამისი საგნის ღირებულების შეფასების, არაუმეტეს 1.5% ოდენობით (ოდენობა განისაზღვრება ბანკის შეხედულებისამებრ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში), მაგრამ არა უმეტეს 500 აშშ დოლარის ექვივალენტის ოდენობით, საბანკო პროდუქტის შესაბამის ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული სს „პროკრედიტ ბანკის“ კომერციული კურსით.
6. პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება გადახდის ვადის დარღვევიდან 90 დღის განმავლობაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკი კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას.

7. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის თანხმობის გარეშე მოახდინოს კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით, საბანკო პროდუქტის დაბრუნების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარიგებებით, ასევე სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თავისი უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისება და/ან გადაცემა (დათმობა) სხვა პირზე, რის შესახებაც ბანკი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, მოახდენს კლიენტის ინფორმირებას ნებისმიერი შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის გამოყენებით, ბანკის ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში. კლიენტს ეკრძალება თავისი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვისთვის გადაცემა ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
8. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით, ასევე ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ან/და წინამდებარე დოკუმენტით შესაძლებელია განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც მხარეებს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განორციელდეს ასევე ელექტრონული კომუნიკაციის სხვა, შეთანხმებული, ან სანდო საშუალებებით. წერილობითი შეტყობინება ითვლება სათანადოდ ჩაბარებულად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა ან გაგზავნილია დაზღვეული წერილით კლიენტის მისამართზე და დადასტურებულია უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. ხოლო ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება თუ ინფორმაციის გამგზავნს უბრუნდება ტექნიკური/პროგრამული საშუალებებით შექმნილი ავტომატური შეტყობინება ელექტრონული შეტყობინების წარმატებით გაგზავნასთან დაკავშირებით.
9. ვალდებულებების შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, გაფორმებული ხელშეკრულებებითა და წინამდებარე დოკუმენტით.
10. თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას მეორე მხარისგან მიღებული ფინანსური, კომერციული, პროფესიული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისთვის დასაშვებია მხარეთა თანხმობით ან კანონით დადგენილი წესით;
11. კლიენტი კისრულობს ვალდებულებას, აანაზღაუროს ბანკის მიერ კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან და ყველა უზრუნველყოფის/სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები, მათ შორის მსესხებლის/აპლიკანტის/პრინციპალის, დამგირავებლის, იპოთეკის საგნის მესაკუთრის, სოლიდარული თავდების, სოლიდარული მოვალის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების, ასევე წილების, ფასიანი ქაღალდების მოძიების ხარჯები, ასევე მსესხებლის/აპლიკანტის/პრინციპალის, დამგირავებლის, იპოთეკის საგნის მესაკუთრის, სოლიდარული თავდების, სოლიდარული მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან/და იურიდიული მისამართის დადგენის ხარჯები.
12. (ამოღებულია).
13. კლიენტი ვალდებულია შეატყობინოს ბანკს იმ სასამართლო პროცესებში მონაწილეობის თაობაზე, რომლებშიც გამოდის მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით.
14. კლიენტი ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს ბანკს, თუ იგი სხვა საბანკო ან/და საკრედიტო დაწესებულებიდან მომავალში აიღებს კრედიტს ან იკისრებს სხვაგვარ ვალდებულებას.
15. კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობის კლიენტის სასარგებლოდ შეცვლა არ საჭიროებს კლიენტის თანხმობას და/ან მისთვის შეტყობინებას. ასევე, ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ან/და დამატება თუ კლიენტის მიერ არ შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
16. მსესხებელი/თანამსესხებელი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკმა სოლიდარულ თავდებს, ასევე უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს მიაწოდოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართი, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ასევე ხელშეკრულების ასლი იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან.
17. კლიენტი, მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ბანკის მიერ მოხდა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ხარჯის სათანადოდ გაცნობა. ასევე, მიეწოდა ყველა ინფორმაცია კრედიტის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით შესაძლო სამართლებრი რისკებზე, როგორიცაა ქონების, ანგარიშის დაყადაღება და ა.შ.
18. ბანკში და კლიენტთან არსებულ ხელშეკრულებებს აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.
19. კლიენტთან ხელშეკრულება ფორმდება ხელშეკრულებაში მითითებული ვადით, თუ ასეთი ვადა არ არის მითითებული, ითვლება რომ ხელშეკრულება უვადოა.
20. კლიენტთან ხელშეკრულებები ფორმდება ქართულ ან ინგლისურ ენაზე, შესაბამისად სახელშეკრულებო პირობების მიწოდება, გაცნობა და კლიენტთან კომუნიკაცია ხდება იმ ენაზე, რა ენაზეც ფორმდება

ხელშეკრულება. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ვერსიების ტექსტი იდენტურია და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

21. ხელშეკრულების დისტანციურად, მათ შორის ინტერნეტ ბანკინგით, გაფორმებისას/დადასტურებისას კლიენტს დისტანციური არხის გამოყენებისათვის დამატებითი გადასახდელები არ დაეკისრება.
22. კლიენტს არ აქვს დისტანციურად დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება, თუ თავად ხელშეკრულებით განსხვავებული პირობა არ არის დადგენილი.
23. დისტანციურად გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას, ან პროდუქტის ბუნებას.

მუხლი 5. პროცენტების დარიცხვა საბანკო პროდუქტის თანხაზე

1. საბანკო პროდუქტზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება მისი გაცემის/მომსახურების დაწყების დღიდან (კრედიტის შემთხვევაში - კრედიტის თანხის მსესხებლის სასესხო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღიდან).
2. პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურ საფუძველზე, ამასთან წელიწადში დღეთა რაოდენობა უტოლდება 365-ს.
3. პროცენტების დარიცხვისას მხედველობაში მიიღება წლიური საპროცენტო განაკვეთი და ფაქტიური კალენდარული დღეების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ხდება კლიენტის მიერ საბანკო პროდუქტით სარგებლობა.

მუხლი 6. პროცენტის ცვლილება

1. კლიენტი თანახმაა და ანიჭებს ბანკს გამოუთხოვად უფლებას, მასზედ რომ დამატებითი თანხმობისა და ხელშეკრულებაში წერილობითი ცვლილების/დამატების შეტანის გარეშე, ინდექსირებულ სესხზე, ასევე ისეთ სესხზე, რომლის საპროცენტო განაკვეთის მიბმულია ნებისმიერი სახის საჯარო ინდექსზე (რეფინანსირების განაკვეთი, ლიბორი, EURIBOR და სხვ.), ცალმხრივად შეცვალოს/ჩაანაცვლოს ინდექსი, თუ მოხდება აღნიშნული ინდექსის გაუქმება და/ან ჩანაცვლება, ან ბანკი გადაწყვეტს ინდექსის შეცვლას/ჩანაცვლებას სხვა, ბანკისგან დამოუკიდებელი, მიზეზით (მაგალითად: გაუქმდა ან ჩანაცვლდა ლიბორი, EURIBOR, რეფინანსირების განაკვეთი და ა.შ.).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში:

   ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კლიენტი ბანკისგან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხით მიიღებს შესაბამისი შინაარსის შეტყობინებას. შეტყობინებაში მითითებული იქნება ინფორმაცია შემოთავაზებული, ახალი საჯარო ინდექსის შესახებ;

   ბ) თუ კლიენტი არ დაეთანხმება შეთავაზებულ ახალ ინდექსს, იგი ვალდებულია ბანკს აცნობოს წერილობით, შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ორი თვისა. კლიენტი ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები;

   გ) თუ ზემოაღნიშნულ ვადაში კლიენტი არ განაცხადებს წერილობით უარს, აღნიშნული ბანკის მხრიდან ჩაითვლება თანხმობად და შეთავაზებული ცვლილებები ავტომატურად აისახება სესხ(ებ)ზე;

   დ) მხარეები (ბანკი და კლიენტი) ვაცნობიერებთ, რომ შესაბამისი გარემოების დადგომისას, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან ან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია საჭირო გახდეს სხვა, დამატებითი ქმედების განხორციელება/შესრულება როგორც ბანკის, ასევე კლიენტის მხრიდან. მხარეები ვადასტურებთ, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მივმართავთ ყველა ზომას, უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე, დროულად შევასრულოთ ნებისმიერი მოთხოვნილი დამატებითი ქმედება;

   ე) კონკრეტულ სესხის/საკრედიტო ხელშეკრულებაში საჯარო ინდექსის ფაქტობრივად შეცვლის შემდეგ კლიენტი ბანკიდან მიიღებს დამატებით შეტყობინებას შეცვლილი ინდექსის ოდენობის, ახალი საპროცენტო განაკვეთის ძალაში შესვლის შემდეგ შენატანების სიდიდის, რაოდენობის და სიხშირის შესახებ (ასეთის ცვლილების შემთხვევაში);

   ვ) კლიენტი უფლებამოსილია ბანკს მოთხოვოს ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გაანგარშების დეტალური წესი და სესხის გადახდის ახალი გრაფიკი, რომელთა მიღება შესაძლებელია როგორც ბანკის ფილიალში/სერვის ცენტრში, ასევე ნებისმიერი სხვა შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის საშუალებით.„
3. ბანკის მიერ შეთავაზებული ახალი ან ჩანაცვლებული ინდექსი ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლისთანავე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კლიენტი აცნობიერებს, რომ:

ა) ინდექსის ცვლილების და ახალ ინდექსზე გადასვლისას შესაძლებელია შეიცვალოს ახალ ინდექსზე გადასვლის მომენტში მის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხ(ებ)ზე არსებული საპოროცენტო განაკვეთი;

ბ) (ამოღებულია)

გ) ახალ ინდექსზე გადასვლისას, თუ ახალი ინდექსის მაჩვენებელი იქნება არსებული ინდექსის მაჩვენებელზე მეტი ან ნაკლები, ბანკი უფლებამოსილია შემცირებული/გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი გაუთანაბროს ახალ ინდექსზე გადასვლამდე არსებულ საპროცენტო განაკვეთს;

დ) მხარეები ვაცნობიერებთ და ვთანხმდებით, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთის ზემოთაღწერილი ცვლილებები არ ხდება ბანკის მოთხოვნით, არამედ განპირობებულია საჯარო ინდექსის ჩანაცვლებით, რაზეც ბანკს არ აქვს ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა;

ე) ინდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით კლიენტი ბანკს ანიჭებს თავისუფალი და შეუზღუდავი მოქმედების, გადაწყვეტილების მიღების, ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტების და დებულებების შეცვლის/კორექტირების, სესხის/კრედიტის საპროცენტო განაკვეთის კორექტირების და ა.შ. უფლებას. ასევე, უფლებას მიმართოს ყველა აუცილებელი ზომას, რაც საჭირო იქნება ინდექსის ჩასანაცვლებლად და აღნიშნულ პროცესში კლიენტის ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად;

ვ) კლიენტი აცნობიერებს, რომ ინდექსის ცვლილება მიზნად ისახავს კლიენტს და ბანკს შორის გაფორმებული სესხის/საკრედიტო ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილ გარემოებებთან.

4. ბანკი უფლებამოსილია ცვლადგანაკვეთიან სესხზე ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, მრავალჯერადად, შეცვალოს ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთი, მისი მომსახურების ნებისმიერ სტადიაზე, თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო ეკონომიკური პირობები, და/ან მსესხებელი არ წარმოუდგენს ბანკს ფინანსური მონაცემებს, ან ადრე წარმოდგენილ დოკუმენტებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას, მისი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ასევე გამოიცემა ნორმატიული აქტი საქართველოს სავალუტო-საკრედიტო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით.

4[1]. (ამოღებულია)

5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ეთანხმება შეცვლილ საპროცენტო განაკვეთს, იგი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს ბანკს თავისი პოზიცია ცვლილების ძალაში შესვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკის წინადადება საპროცენტო განაკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით მიღებულად ჩაითვლება. ახალი საპროცენტო განაკვეთი საბანკო პროდუქტს დაერიცხება ცვლილების ძალაში შესვლისთანავე.

5. თუ კლიენტი არ დაეთანხმა ბანკის მიერ შეცვლილ საპროცენტო განაკვეთს, იგი ვალდებულია, ცვლილების ძალაში შესვლამდე დააბრუნოს/დაფაროს საბანკო პროდუქტის მთლიანი თანხა, დარიცხული პროცენტი, პირგასამტეხლო, საკომისიო და სხვა ნებისმიერი ხარჯი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 7. (ამოღებულია)

მუხლი 8. საბანკო პროდუქტების გაცემის წინაპირობები

1. საბანკო პროდუქტის გაცემა/საბანკო მომსახურების გაწევა განიხილება შემდეგ შემთხვევაში:

1.1. კლიენტმა ბანკს წარმოუდგინა სამეწარმეო საქმიანობის განვლილი პერიოდის და ბოლო საანგარიშო პერიოდის შესაბამისი სრული და სარწმუნო ფინანსური ინფორმაცია, ამონაწერები, თანხის ჩარიცხვის ან/და შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა ფინანსური ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია მსესხებელისათვის მომსახურების გასაწევად.

1.2. კლიენტი ადასტურებს, რომ გაეცნო ბანკის სტანდარტულ პირობებს იმის შესახებ, რომ ბანკი არ აფინანსებს ისეთ საქმიანობას, რომელიც:

ა) ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის გარემოს;

ბ) ითვალისწინებს მოკლევადიან ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში;

გ) დაკავშირებულია: იარაღის ან/და სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებასთან და/ან რეალიზაციასთან; სათამაშო ბიზნესთან; სპეკულაციური ხასიათის სავალუტო ოპერაციებთან; თამბაქოს წარმოებასა და/ან რეალიზაციასთან; ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და/ან რეალიზაციასთან.

1.3. (ამოღებულია).

1[1]. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, საფინანსო პროდუქტის მისაღებად იპოთეკის და გირავნობის საგნის დაზღვევა და/ან მსესხებლის სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა (მსესხებლის გარდაცვალების შედეგად კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევა) აუცილებელია.

2. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ბანკი კლიენტთან ხელშეკრულებას დებს კლიენტის განცხადებებზე და გაცემულ გარანტიებზე (რომლებიც ითვლება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად) დაყრდნობით და იმ პირობით, რომ კლიენტი შეასრულებს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებას ჯეროვნად. შესაბამისად, აღნიშნული განცხადებების, გარანტიებისა და ზოგადად, სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია ბანკის მიერ კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე ცალმხრივი და უაქცეპტო უარის სათქმელად. ასეთ შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ბანკის მიერ მითითებულ ვადაში დააბრუნოს ხელშეკრულებით მიღებული ნებისმიერი თანხა მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და ბანკის მიერ დაკისრების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს თანხებისა და ყველა სახის დავალიანების ანაზღაურების ჩათვლით.
3. კრედიტის გაცემა წარმოებს ბანკის მიერ მსესხებლის ანგარიშზე კრედიტის თანხის ჩარიცხვით, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ასევე აღნიშნული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დადებული ხელშეკრულებების პირობების სრულად შესრულების შემდეგ.
4. ბანკს არ აქვს კრედიტის გაცემის ვალდებულება.

მუხლი 9. კლიენტის ვალდებულებები საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებით

1. კლიენტი ვალდებულია:
   1.1. წარმოუდგინოს ბანკს მისთვის ადრე წარმოდგენილ სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, მათი რეგისტრაციის თარიღიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში;
   1.2. აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
   1.3. განახორციელოს თავისი საქმიანობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
   1.4. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ყველა ფაქტის, შემთხვევის ან ინფორმაციის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე;
2. **ინციდენტების (შემთხვევების), უბედური შემთხვევებისა და გარკვეული გარემოებების შესახებ შეტყობინება:** შემთხვევის დადგომიდან შეძლებისდაგვარად სწრაფად, მაგრამ არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა, მსესხებელმა ბანკს უნდა აცნობოს, მსესხებლის საქმიანობასთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებულ ადგილზე, საწარმოში, მოწყობილობაზე ან ობიექტზე ნებისმიერი **მნიშვნელოვანი** სოციალური, შრომითი, ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინციდენტის/უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც უკავშირდება უშუალოდ თანამშრომლებს, კონტრაქტორებს და ქვეკონტრაქტორებს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს გარემოზე, ჯანმრთელობაზე ან უსაფრთხოებაზე ან ზოგადად საზოგადოებაზე. ინციდენტი შეუზღუდავად მოიცავს ავფეთქებებს, დაღვრას ან სამუშაო ადგილზე უბედურ შემთხვევებს, რაც იწვევს სიკვდილს, სერიოზულ ან მრავლობით დაზიანებას, მნიშვნელოვან დაბინძურებას ან ისეთ მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენს გარემომცველ საზოგადოებაზე და გარემოზე. მსგავს შემთხვევაში, უნდა მიეთითოს ინციდენტის, უბედური შემთხვევის ან გარემოების ხასიათის და ზემოქმედების ან სავარაუდო ზემოქმედების, შედეგის, ასევე მათ გადასაჭრელად და მომავალში მსგავსის თავიდან ასაცილებლად გასატარებელი ღონისძიებები ან განსახორციელებელი გეგმები. კლიენტი აცნობიერებს, რომ მოცემული ვალდებულებების შესრულება გამომდინარეობს როგორც საქართველოს კანონმდებლობიდან, ასევე შესაბამისობაშია საერთაშორისოდ აღიარებულ წესებთან და მოთხოვნებთან.
3. **მაკორექტირებელი ზომები.** მსესხებელი ვალდებულია შეისწავლოს ინციდენტი (შემთხვევა), უბედური შემთხვევა ან გარემოება, რომლის საფუძველზეც მსესხებელმა უნდა გაატაროს მაკორექტირებელი ზომები, როგორც ბანკი მიიჩნევს საჭიროდ ან აუცილებლად, მსესხებლის საქმიანობის მარეგულირებელი სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ნებისმიერი შეუსრულებლობის ან დარღვევის გამოსწორების/ანაზღაურების მიზნით. ეს ზომები განისაზღვრება შემარბილებელ, სარეაბილიტაციო ან მაკორექტირებელ სამოქმედო გეგმაში, მათ შორის, საჭიროებისამებრ, შესრულების განრიგსა და ბიუჯეტში, რომელიც ბანკთან უნდა შეთანხმდეს და რომლის შესრულების შემდეგ, მსესხებელს საშუალება ექნება შეთავაზებული ოპერაციები განახორციელოს, მსესხებლის მიმართ მოქმედი ეკოლოგიური და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად (**"გეგმა"**). ბანკი ინფორმირებული უნდა იყოს გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
4. **სესხის გაცემის წინაპირობა:** თუ მსესხებელი საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონი „საქართველოს გარემოსდაცვითი კოდექსი"-ს (ან სხვა კანონმდებლობა, რომელიც შინაარსობრივად არეგულირებს იგივე სფეროს) დანართი N1-ით (მასში შესული ნებისმიერი ცვლილება/დამატებებით), განსაზღვრულ რომელიმე სფეროში, ვალდებულია სესხის გაცემამდე წარმოადგინოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა (გეგმა უნდა მოიცავდეს: კომუნიკაციის მექანიზმებს, პასუხისმგებელ პერსონალს, საგამოძიებო პროცედურებს, ზემოქმედების ან შედეგების შეფასებას,

მაკორექტირებელი და შემამსუბუქებელი ზომების განსაზღვრას და შეტყობინების მექანიზმებს), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კანონით და ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს. ხოლო, თუ მსესხებელი საქმიანობას ეწევა ამავე კანონის დანართი N2-ით განსაზღვრულ რომელიმე სფეროში, ვალდებულია წარმოადგინოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, თუ სავალდებულო წესით მოეთხოვა ამ დოკუმენტის შექმნა და ქონა;

5. კლიენტი ვალდებულია მოახდინოს ბანკის ინფორმირება თუ შეიცვლება კლიენტი იურიდიული პირის აქციონერი/მეწილე/დამფუძნებელი/საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე ან თუ კლიენტი ან მისი დამფუძნებელი ან ბენეფიციარი მესაკუთრე, ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გახდება პოლიტიკურად აქტიური პირი.
   წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის კლიენტი ვალდებულია მოახდინოს ბანკის წერილობითი ინფორმირება შესაბამის ცვლილებამდე გონივრული ვადით, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე, ან სადაც ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით შეუძლებელია ცვლილებამდე ბანკის წერილობით ინფორმირება, აღნიშნული უნდა მოხდეს ცვლილებისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, შეწყვიტოს კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება და მოითხოვოს დავალიანების ვადამდე სრული დაფარვა თუ კლიენტი დაარღვევს ზემოაღნიშნულ ვალდებულებებს.
   წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, ბანკის წერილობითი ინფორმირების შემდეგ, ან როდესაც ბანკი აღმოაჩენს, რომ შეიცვალა კლიენტი იურიდიული პირის აქციონერი/მეწილე/დამფუძნებელი/საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე, ან თუ კლიენტი ან მისი დამფუძნებელი ან ბენეფიციარი მესაკუთრე, ბანკთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გახდება პოლიტიკურად აქტიური პირი, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ბანკი გადაწყვეტს კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხს.
   წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პოლიტიკურად აქტიური პირი“ ნიშნავს პირს, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და რომელიც ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაშიც
6. (ამოღებულია).
7. მსესხებლის დამატებითი ვალდებულებები **განახლებადი ენერგიის დაფინანსების პროექტის** ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის: პროექტის შესრულების დროს, მსესხებელმა იურიდიულმა პირმა ბანკს უნდა აცნობოს მისი აქციონერების/მეწილეების სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილების, საბოლოო ბენეფიციარი მფლობელის შეცვლის, ან ნებისმიერი ისეთი ცვლილების შესახებ, რომელიც გავლენას მოახდენს მსესხებელზე პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლზე, საბოლოო დონის კონტროლის ჩათვლით.

მუხლი 10. საბანკო პროდუქტების გამოყენების შემოწმება

1. კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში ხელშეკრულების შესრულების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია:
   1.1 აკონტროლოს კრედიტის ხარჯვის მიზნობრიობა, უზრუნველყოფის საგნების რეალური მდგომარეობა;
   1.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რეგულარულად გაეცნოს კლიენტის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობას და მიიღოს საქმიანი და საფინანსო ოპერაციების ამსახველი სრული ინფორმაცია და დოკუმენტაციის კომპლექტი;
   1.3 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბანკის მიერ უზრუნველყოფის საგნების დათვალიერება;
   1.4 კლიენტი ვალდებულია დაუშვას ბანკის თანამშრომლები კლიენტის ტერიტორიაზე შემოწმების მიზნით.
2. ბანკის წინასწარი წერილობითი მოთხოვნიდან 10 დღეში კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს კრედიტის მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, დღგ-ს ფაქტურები, ზედდებულები, ინვოისები, დეკლარაციები, ხელწერილები და სხვა.).
3. კლიენტი იღებს ვალდებულებას წარუდგინოს ბანკს ფინანსური მონაცემები მისი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
4. ამ მუხლით განსაზღვრულ შემოწმებების პერიოდულობასა და მოცულობას ბანკი განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ.

მუხლი 11. კრედიტის წინსწრებით დაფარვა, კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიო

1. მსესხებელი უფლებამოსილია დაფაროს კრედიტი ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ. კრედიტის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების სახით გადაუხადოს ბანკს საკომისიო თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწიებით შემდეგი ოდენობით:

   1.1. ცვლადი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში სესხის ვადამდე დაფარვის საკომისიო გამოითვლება შემდეგნაირად:

   ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-სა;

   ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-სა.

   1.2. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში სესხის ვადამდე დაფარვის საკომისიო გამოითვლება შემდეგნაირად:

   ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-სა;

   ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-სა;

   გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-სა.

   1.3. ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის დარიცხვის პერიოდში სესხის ვადამდე დაფარვის საკომისიო გამოითვლება შემდეგნაირად:

   ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-სა.

2. კრედიტის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელი თავისუფლდება წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გადახდის ვალდებულებისაგან, იმ შემთხვევაში, თუ:

   ა) ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი;

   ბ)კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება იმავე ბანკის მიერ გაცემული ახალი კრედიტით;

   გ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ბანკის მოთხოვნით;

   დ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე კლიენტის და/ან, არსებობისას, სოლიდარული თავდების ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით;

   (**გამონაკლისი:** „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით გაუქმდა არსებული ინდექსი და ხდება ინდექსის ჩანაცვლება).

   ე) კრედიტი იფარება კრედიტის დაფარვის უზრუნველსაყოფად დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში;

   ვ) წინსწრებით იფარება ოვერდრაფტი.

3. (ამოღებულია)

4. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ფიზიკური პირი წინასწარ ფარავს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების გადახდის გრაფიკით გათვალისწინებულ მაქსიმუმ სამი შენატანის ოდენობის თანხას, ბანკი უფლებამოსილია არ დააკისროს წინასწარი დაფარვის საკომისიო. აღნიშნული პირობა მოქმედებს მხოლოდ თვეში ერთხელ.

5. იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტის თანხა აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, მსესხებელი ვალდებულია, ბანკთან შეთანხმებული კომუნიკაციის არხის მეშვეობით, არანაკლებ 14 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს ბანკს კრედიტის წინსწრებით დაფარვის თაობაზე. ამ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია კრედიტზე პროცენტის დარიცხვა განახორციელოს მსესხებლის მიერ ფაქტობრივად ნასარგებლები დღეების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ზემოაღნიშნული ვადისა.

6. შესაბამის საბანკო ანგარიშზე კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად საკმარისი თანხის შემოტანით ან არსებობით ავტომატურად არ მოხდება კრედიტის წინსწრებით სრული ან ნაწილობრივი დაფარვა, ამისათვის საჭიროა კლიენტმა ან მის მიერ განსაზღვრულმა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა წერილობით ან ინტერნეტ ბანკინგით (ინტერნეტ ბანკინგში შეტყობინების TAN-ით დადასტურება სავალდებულოა) მიმართოს ბანკს სესხის წინსწრებით სრულად დაფარვის მოთხოვნით.

7. სესხზე საშეღავათო პერიოდის არსებობისას, ასეთი სესხის წინასწარ ნაწილობრივი ან სრული დაფარვის შემთხვევაში, პირველ რიგში დაიფარება საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო

სარგებელი/პირგასამტეხლო/ნებისმიერი სახის ხარჯი სრულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დარჩენილი თანხა მიემართება დანარჩენი დავალიანების დასაფარად.

8. იმ შემთხვევაში თუ ხდება კრედიტის წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვა და იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, არანაკლებ 500 ლარი, კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მომსახურების ოფისებში კრედიტის დაფარვისას საკუთარი ინიციატივით, ხოლო დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით დაფარვისას, დაფარვის შემდეგ მოითხოვოს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია მას შესთავაზოს, ახალი, შეცვლილი გრაფიკის მინიმუმ შემდეგი ალტერნატივები:
   ა) ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით;
   ბ) ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება;
9. კლიენტის მხრიდან სათანადო მოთხოვნისა და ანგარიშზე თანხის არსებობის შემთხვევაში ბანკი კრედიტს დაფარავს (სრულად/ნაწილობრივ) დაუყოვნებლივ, (გარდა წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტისა) მაგრამ თუ აღნიშნული ვერ ხერხდება და კრედიტის წინსწრებით სრული და/ან ნაწილობრივი დაფარვა საჭიროებს დამატებით ვადას, ბანკის მხრიდან კრედიტი დაიფარება აღნიშნულ ვადაში.

მუხლი 12. ვალდებულებების დაფარვა

1. საბანკო პროდუქტისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაფარვა შეიძლება განხოციელდეს კლიენტის ანგარიშიდან თანხის გადატანით/ჩამოჭრით. შესაბამისად, კლიენტი ვალდებულია გახსნას და ვალდებულების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში იქონიოს/შეინარჩუნოს საბანკო ანგარიში.
2. გადახდისას პირველ რიგში დაიფარება საკომისიოები, გადახდის ვადის გადაცილების გამო დაკისრებული პირგასამტეხლო, შემდეგ დარიცხული პროცენტები და ბოლოს კრედიტის თანხა. აღნიშნული რიგითობა ბანკის შეხედულებისამებრ შეიძლება შეიცვალოს.
3. ერთდროულად ერთზე მეტი ვალდებულების არსებობისას კლიენტის მიერ შემოტანილი თანხით პირველ რიგში სრულად დაიფარება ის დავალიანება/დავალიანებები, რომელიც ვადა უკვე დამდგარია ან ვადაგადაცილებაშია. დარჩენილი თანხა მიემართება თანხის შემოტანის დღეს არსებულ სხვა ვადამოსული გადახდების დასაფარად. ხოლო თუ რამოდენიმე ვალდებულების დაფარვის ვადა ემთხვევა ერთმანეთს, დაფარვის რიგითობა განისაზღვრება ბანკის მიერ.
4. ერთდროულად ერთზე მეტი გადასახდელი ვალდებულების არსებობისას, იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ გადახდილი თანხა არ არის საკმარისი ვადამოსული ყველა ვალდებულების დასაფარად, კლიენტი უფლებამოსილია განუსაზღვროს ბანკს ვალდებულებულების დაფარვის რიგითობა. ასეთი სახით განსაზღვრული რიგითობა არის ერთჯერადი, შეეხება მხოლოდ იმ გადახდას/შენატანს, რომლის დაფარვამდე ან/და გადახდამდეც წარმოადგენს კლიენტი განაცხადს გადახდების პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ.
5. გადახდის პრიორიტეტების განსაზღვრა უნდა მოხდეს წერილობით, შესაბამისი სახის და შინაარსის წერილობითი განცხადების ბანკში (ფილიალი ან/და სერვის პუნქტი) წარმოდგენის გზით, უშუალოდ გადახდის დღეს, ბანკის სამუშაო საათების დასრულებამდე.
6. გადახდის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ განაცხადში კლიენტმა მკაფიოდ და არაორაზროვნად, სავალდებულო სახით უნდა მიუთითოს ვალდებულებათა დაფარვის რიგითობა (რიგითობის მიხედვით დასაფარი ხელშეკრულების ნომერი), რომელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესასრულებელი ვალდებულებაც უნდა დაიფაროს პირველ რიგში და რომელი მას შემდეგ. განაცხადის სტანდარტული ფორმის მიღება ასევე შესაძლებელია ბანკის ფილიალებში.
7. კლიენტის მხრიდან განსაზღვრულ დავალებას დაფარვის პრიორიტეტებთან დაკავშირებით ბანკი შეასრულებს, თუ პრიორიტეტულად განსაზღვრული სესხის ვადამოსული/გადასახდელი დავალიანების დასაფარად საკმარისი ოდენობის თანხა, შესაბამის ვალუტაში იქნება სესხის შესაბამის ანგარიშზე.
8. ვალდებულება დადგენილ ვადაში შესრულებულად ჩაითვლება, თუ გადახდის დღისათვის (24:00 საათამდე) გადასახდელი თანხა სრულად იარსებებს ბანკის ანგარიშზე (ყოველგვარი გამოქვითვების და დაკავებების გარეშე, მათ შორის ნებისმიერი საკომისიოს, ბაჟის, შენატანისა თუ სხვა მოსაკრებლების სახით. თუ აღნიშნული დაკავებები და გამოქვითვები მაინც ხორციელდება, ეს მოხდება კლიენტის ხარჯზე). თუ ეს დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდგომი სამუშაო დღისა. ამასთან, საბანკო პროდუქტის თანხაზე პროცენტები დაირიცხება და გადაიხდება არასამუშაო დღიდან მომდევნო სამუშაო დღემდე პერიოდზეც.
9. ვალდებულება პირველ რიგში დაიფარება იმ სავალუტო ანგარიშიდან, რომელ ვალუტაშიც განსაზღვრულია გადახდები. აღნიშნულის შეცვლა შესაძლებელია თუ კლიენტი უშუალოდ დაფარვის განხორციელების წინ მისცემს ბანკს განსხვავებულ დავალებას. ასეთი დავალება არის ერთჯერადი, უნდა იყოს გაცემული კლიენტის

მიერ წერილობით და გადახდის განხორციელების დღეს, სამუშაო საათების დარულებამდე, ჩაბარდეს ბანკს (ფილიალს, სერვის პუნქტს).

10. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ გადახდის ვადის დადგომისას, ასევე გადახდის ვადის გადაცილებისას, კლიენტის დავალიანება დაფაროს მისი შემნახველი ანაბრის ანგარიშებზე, სადეპოზიტო ანგარიშზე (გარდა ვადიანი დეპოზიტისა, თუ სესხი არ არის უზრუნველყოფილი ვადიანი დეპოზიტით) და/ან მის სხვა ნებისმიერი სახის/ტიპის ანგარიშებზე არსებული თანხების, მათ შორის მის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე დაშვებული ოვერდრაფტის თანხიდან (აუთვისებელი ნაშთიდან), უაქცეპტოდ (კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრის გზით). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხა განსხვავდება ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია კლეინტის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია, ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

მუხლი 13. ვალდებულებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები

1. კლიენტი ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფა.
2. ბანკის წერილობითი მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს უზრუნველყოფის საგნებზე დაზღვევის პოლისი საბანკო პროდუქტის ლიმიტისა და წლიური პროცენტის ჯამური თანხის გათვალისწინებით. დაზღვევის პოლისში მოსარგებლედ (ბენეფიციარად) მითითებული უნდა იქნას ბანკი. კლიენტი უფლებამოსილია პოლისი წარმოადგინოს ერთი წლის ვადით, მაგრამ ვალდებულია ყოველწლიურად, ვადის გასვლამდე სამი დღით ადრე განაახლოს იგი მასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი ვადის შესაბამისად.
3. კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან ამგვარი საფრთხის დადგომის შემთხვევაში, აგრეთვე იპოთეკის ან გირაოს საგნის განადგურების, ღირებულების შემცირების ან დაზიანების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია წარმოუდგინოს ბანკს სხვა დამატებითი უზრუნველყოფა, რომელსაც ბანკი აირჩევს.
4. კლიენტი ცალსახად აცხადებს და ადასტურებს, რომ იცნობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებების (იპოთეკა, გირავნობა და სხვ.), ასევე თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებების შინაარს და უპირობოდ ეთანხმება მათ.
5. კლიენტის ვალდებულებები ასევე შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს უზრუნველსაყოფი ვალდებულებების წარმოშობის შემდეგ გასაფორმებელი იპოთეკების, გირავნობების, თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებით, ან სხვა ტიპის ხელშეკრულებებით.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა და საბანკო პროდუქტის გამოთხოვა

1. გარდა კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული საფუძველებისა, ბანკი უფლებამოსილია ასევე ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მოითხოვოს ყველა ან კონკრეტული გაცემული საბანკო პროდუქტის ვადამდე დაფარვა, დარიცხული პროცენტის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო კლიენტი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნები, შემდეგ შემთხვევებში:
   1.1. ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული იპოთეკის ან გირავნობის საგანი განადგურდება, დაზიანდება ან შემცირდება მისი ღირებულება და კლიენტი არ წარმოადგენს დამატებით უზრუნველყოფის საშუალებას.
   1.2. ისეთი გარემოებების დადგომისას, როდესაც ეჭვის ქვეშ დგება საბანკო პროდუქტის დროული დაბრუნება ან/და თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც აშკარას ქმნიან საბანკო პროდუქტისა და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდის შეუძლებლობას;
   1.3. ბანკი დაადგენს, რომ კლიეტი ფულად სახსრებს მოიხმარს არამიზნობრივად ან ფულადი სახსრების ბრუნვის მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის კლიენტის საქმიანობას;
   1.4. კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადის განმავლობაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას/განაჩენს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის/გამოიწვევს კლიენტის გადახდისუნარიანობას, კლიენტის რეპუტაციული რისკის დადგომას, ან დაკავშირებული იქნება საბანკო პროდუქტის უზრუნველყოფის საგნებთან; ანკლიენტი გამოცხადდება გადახდისუუნაროდ, ლიკვიდირებულად ან გაკოტრებულად;
   1.5. კლიენტი დააღვევს წინამდებარე დოკუმენტის მე-8, მე-9 და/ან მე-10 მუხლებით დადგენილ რომელიმე ვალდებულებას;

1.6. კლიენტი დაარღვევს ვალდებულებებს დამატებითი უზრუნველყოფის საშუალებების ბანკისათვის წარმოდგენასა და ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით;

1.7. დაირღვევა კლიენტის მიერ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

1.8. (ამოღებულია).

1.8.1. (ამოღებულია).

1.9. **განახლებადი ენერგიის დაფინანსების პროექტის** შესრულების დროს, მსესხებელმა ბანკს უნდა აცნობოს მათი აქციონერების სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილების, **საბოლოო ბენეფიციარი მფლობელის შეცვლის** ან ნებისმიერი ისეთი ცვლილების შესახებ, რომელიც გავლენას მოახდენს მსესხებელზე პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლზე, საბოლოო დონის კონტროლის ჩათვლით.

1.10. თუ მსესხებელი იურიდიული პირის აქციონერები/მფლობელები დაკარგავენ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს მსესხებელზე ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მსესხებელი იურიდიული პირის საკუთრების სტრუქტურაში ცვლილების, საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის შეცვლის გამო, ან აქციონერები/მფლობელები დაკარგავენ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მსესხებელი იურიდიული პირის მენეჯმენტში ცვლილების გამო, ბანკის მკაფიო წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ან/და წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

3. კლიენტის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს დავალიანების წინსწრებით სრულად დაფარვის გზით, რა დროსაც მოქმედებს მასთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი დავალიანების წინსწრებით სრულად დაფარვასთან დაკავშირებული დებულებები.

4. თუ კლიენტს არ ერიცხება დავალიანება ბანკის წინაშე, მაგრამ არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ვადაც ჯერ არ დასრულებულა, კლიენტის ინიციატივით ასეთი ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ წერილობით, მის მიერ შესაბამისი შინაარსის წერილობითი განცხადების ბანკში წარმოდგენის/ფოსტით გამოგზავნის გზით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება წერილობითი განაცხადის ბანკის კანცელარიაში მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. შეწყვეტასთან დაკავშირებული ხარჯის გადახდა ეკისრება მსესხებელს.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

1. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შემთხვევაში, მის პერიოდში მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებისაგან. ამასთანავე, ფორს-მაჟორულ გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმებას.

2. მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აცნობოს ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობისა და მისი შემდგომი მოქმედების შესახებ ასეთი გარემოებების წარმოშობიდან 24 საათის განმავლობაში.

3. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

4. ფორს-მაჟორული გარემოებების სამ თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ ხელშეკრულების გაუქმების ან მისი ფორს-მაჟორულ გარემოებებთან შემდგომი მისადაგების საკითხი.

მუხლი 15[1]. დაზღვევა

1. მსესხებელი ვალდებულებას იღებს ბანკის მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს იპოთეკის და გირავნობის საგნის დაზღვევის პოლისი და/ან მსესხებლის სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის პოლისი (მსესხებლის გარდაცვალების შედეგად კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევის პოლისი);

2. დაზღვევა უნდა განხორციელდეს ბანკისთვის მისაღები პირობებით. თუ კლიენტს არ სურს დაზღვევა ბანკის მიერ შემოთავაზებულ სადაზღვევო კომპანი(ებ)ში, ის უფლებამოსილია პოლისი წარმოადგინოს სხვა მზღვეველისგან. სხვა მზღვეველისგან წარმოდგენილი დაზღვევის პოლისი უნდა აკმაყოფილებდეს ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია გადასცეს დაზღვევის მინიმალური მოთხოვნები.

3. დაზღვევის პოლისში მოსარგებლედ (ბენეფიციარად) მითითებული უნდა იქნას ბანკი. შესაძლებელია პოლისი წარმოდგენილი იყოს ერთი წლის ვადით, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად, ვადის გასვლამდე სამი დღით ადრე განახლდეს კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების დარჩენილი ვადის შესაბამისად ან ბანკთან შეთანხმებული ვადით;
4. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, დაზღვევის მიზნებისთვის დაამუშაოს კლიენტის შესახებ საბანკო და პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის გადასცეს სადაზღვევო კომპანიას შესაბამისი პერიოდულობითა და საჭირო მოცულობით. წინამდებარე პუნქტში მითითებული უფლებების განხორციელებისთვის კლიენტის დამატებითი თანხმობა ან ნებართვა საჭირო არ არის.
5. კლიენტი ვალდებულია, გადაიხადოს სადაზღვევო პრემია/სადაზღვევო პრემიის გადახდის თარიღისთვის უზრუნველყოს ანგარიშზე შესაბამისი ნაშთის არსებობა;
6. კლიენტი ვალდებულია, დაიცვას დაზღვევის ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ქონების დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს და სადაზღვევო კომპანიას, განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად.

მუხლი 15². შეტყობინებები

1. ბანკის მიერ კლიენტისათვის განკუთვნილი ნებისმიერი სახის შეტყობინების გაგზავნა და კლიენტის ინფორმირება მოხდება წერილობით, ან ელექტრონული ფოსტით, ან ინტერნეტ-ბანკით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან სატელეფონო ზარის საშუალებით.
2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეტყობინების გაგზავნის კონკრეტულ არხს ერთპიროვნულად ირჩევს ბანკი.
3. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში კლიენტის მიერ დაფიქსირებული საკონტაქტო მონაცემები, ასევე დამატებით, გააფორმოს სხვა სახის შეთანხმება სადაც დაფიქსირდება კლიენტის საკონტაქტო მონაცემები და/ან გამოიყენოს კლიენტის მიერ საჯაროდ დაფიქსირებული საკონტაქტო მონაცემები (მაგ: საჯარო რეესტრში, სამეწარმეო რეესტრში და სხვა საჯარო სივრცეში დაფიქსირებული მონაცემები), რაზეც კლიენტი წინასწარ იძლევა თანხმობას.
4. მსესხებელი, ასევე თავდები, უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე, ან/და სხვა ნებისმიერი პირი, ვინც დაკავშირებულია ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობით და რომელ ხელშეკრულებაზეც ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტის მოქმედება, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს მისი მისამართის ან/და სხვა საკონტაქტო ინფორმაციის (მობილურის ნომერი, მეილი და სხვ.) ნებისმიერი ცვლილების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება ასევე სრულად ვრცელდება უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ახალი მესაკუთრის მიმართაც.
5. საკრედიტო ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და კლიენტის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო ცვლილების/ფასის ზრდის და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში, ასევე, ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხზე საჯარო ინდექსის ცვლილების შემთხვევაში ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მიერ მიღებული მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას ბანკი კლიენტს შეატყობინებს ცვლილების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ამ მუხლში მოცემული წესების დაცვით.
7. ნებისმიერი შეტყობინება ან/და დოკუმენტი კლიენტთან გაიგზავნება ბანკისათვის ცნობილ უკანასკნელ საკონტაქტო მონაცემზე (მისამართი, ტელეფონის ნომერი, მეილი და ა.შ.) და ბანკი არ აგებს პასუხს შეუტყობინებლობისათვის, თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება ადრესატის ბრალეულობით და/ან ადრესატმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის.

თავი III

მუხლი 16. გენერალურ ხელშეკრულება

1. თუ ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებულია გენერალური ხელშეკრულება, გენერალური ხელშეკრულების ლიმიტის ფარგლებში შესაძლოა გაიცეს საბანკო პროდუქტი ასევე გენერალური ხელშეკრულების ლიმიტის თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში - გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე დადებული, საბანკო პროდუქტის გაცემის შესახებ, ხელშეკრულებების ხელმოწერის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

2. თუ გენერალური ხელშეკრულება დადებულია ინდივიდუალურ მეწარმესთან, აღნიშნული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია სესხი გაიცეს ფიზიკურ პირზე.
3. თუ გენერალური ხელშეკრულება დადებულია ფიზიკურ პირთან, აღნიშნული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია სესხი გაიცეს ინდივიდუალურ მეწარმეზე.

მუხლი 17. ბიზნეს ოვერდრაფტის დაშვების შესახებ ხელშეკრულება

1. (ამოღებულია)
2. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ მის მიერ ხელშეკრულების დადების დღისთვის ბანკისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია არსებული ვალდებულებების და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ნებისმიერი ანგარიში, დებულება ან დოკუმენტაცია ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების შესახებ, საგადასახადო ანგარიშგების ჩათვლით) არის უტყუარი და ზუსტი. მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება კრედიტის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის, და/ან შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს საკმარის საფუძველს გაფორმებული ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი ნაწილის დასარღვევად, შესაწყვეტად, მოსაშლელად, შესაჩერებლად და/ან გასაუქმებლად, და აგრეთვე იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
3. კლიენტი ვალდებულია, გადმოიტანოს და/ან შეინარჩუნოს მთელი თავისი საბანკო ბრუნვების 100% მხოლოდ სს „პროკრედიტ ბანკში“. აღნიშნული ვალდებულებისა და/ან ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი დამატებითი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად და უაქცეპტოდ შეამციროს ოვერდრაფტის თანხა (ლიმიტი) საკუთარი შეხედულებისამებრ, ასევე ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა. ამ პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობისას (ვადის დარღვევა) ბანკი ასევე უფლებამოსილია შეუზღუდოს კლიენტს ლიმიტის ათვისების შესაძლებლობა, (ლიმიტის შეჩერება) რაც გულისხმობს კლიენტის ანგარიშებზე აუთვისებელი/რიცხული ნაშთის ზევით თანხების ხარჯვის შეზღუდვას (ლიმიტის სრულად ათვისების შემთხვევაში დაფარულ ნაწილში ლიმიტი არ განახლდება), ზემოაღნიშნული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
4. ოვერდრაფტის თანხაზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ლიმიტის დაშვების დღიდან. კრედიტის თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურ საფუძველზე, ამასთან წელიწადში დღეთა რაოდენობა უტოლდება 365-ს, ხოლო თვეში 30 დღეს. კრედიტზე პროცენტების დარიცხვისას მხედველობაში მიიღება წლიური საპროცენტო განაკვეთი და ფაქტიური კალენდარული დღეების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ხდება კრედიტით სარგებლობა.
5. ოვერდრაფტის დავალიანების (ოვერდრაფტის ძირითადი თანხა და/ან პროცენტი) ვადაში არ დაფარვის ან არასრულად დაფარვის შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეაჩეროს ოვერდრაფტის მოქმედება დავალიანების სრულად დაფარვამდე. აღნიშნულის შემდეგ ბანკი უფლებამოსილია განიხილოს კლიენტის ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების მიზანშეწონილობა.
6. კლიენტი იღებს ვალდებულებას წერილობითი ფორმით სამი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს ბანკს მისი ფინანსური მდგომარეობის, ან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ცვლილების შესახებ.
7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებამდე კლიენტი ვალდებულია საანგარიშო კვარტლის შემდგომი თვის 30 რიცხვამდე წარმოუდგინოს ბანკს საანგარიშო კვარტლის განმავლობაში მის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია ბანკისათვის აუცილებელი მოცულობით.
8. ბანკი იტოვებს უფლებას ცალმხრივად, უაქცეპტოდ შეცვალოს ოვერდრაფტის ლიმიტი კლიენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თუ მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის შემოსავლების ოდენობის შემცირების ან ბანკების ან ორგანიზაციების მიმართ წარმოქმნილი დამატებითი სასესხო ვალდებულებების ან კლიენტის მიერ სს „პროკრედიტ ბანკში“ არსებული ბრუნვების შემცირების შესახებ.
9. ბანკი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება კლიენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე და მოითხოვოს კლიენტის არსებული დავალიანების სრული დაფარვა დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლოს ჩათვლით იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას, ბრუნვების სრულად სს „პროკრედიტ ბანკში“ არსებობასთან დაკავშირებით.
10. კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული რაიმე სახის სასესხო/საკრედიტო დავალიანების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში (რაც გამოწვეულია სხვა ბანკში მის მიერ ან სხვა პირის მიერ აღებული სესხის რეფინანსირებით) იგი ვალდებულია პირველ რიგში დაფაროს ბიზნეს ოვერდრაფტის ხელშეკრულების საფუძველზე დაშვებული ოვერდრაფტის თანხა სრულად, მასზედ დარიცხული პროცენტითა და არსებული სხვა

გადასახდელებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას მოსთხოვოს ბანკს სხვა სახის საკრედიტო/სასესხო დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე დაფარვა.

11. კლიენტს ხელშეკრულების მოშლის უფლება აქვს მისი მოქმედების ნებისმიერ სტადიაზე.
12. მსესხებელმა მთელი მოცულობით უნდა დაიცვას ბიზნეს ოვერდრაფტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის/ლიმიტის მიღებისათვის/დაშვებისთვის საჭირო პირობები.
13. ბიზნეს ოვერდრაფტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიმიტის დაშვება წარმოებს მსესხებლის მიერ აღებული ვალდებულებების, ასევე უზრუნველყოფისა და სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულებების ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მუხლი 18. საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება

1. ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში, ბანკისადმი განაცხადის წარდგენის და ახალი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, მსესხებელი უფლებამოსილია არაერთგზის აითვისოს და შეავსოს/დაფაროს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით მისთვის გამოყოფილი საკრედიტო რესურსი, ისე რომ ახალი თანხის გაცემის დროს ათვისებული თანხის ჯამური ოდენობა არ აღემატებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ხაზის ლიმიტის მაქსიმალურ ოდენობას.
2. საკრედიტო ხაზის ათვისების მოთხოვნა წარმოდგენილ უნდა იქნეს კრედიტის თანხის მიღების სასურველ თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.
3. ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო ხაზის ლიმიტიდან აუთვისებელი თანხისათვის "მსესხებელი" უხდის "ბანკს" ხელშეკრულებთ განსაზღვრულ პროცენტს (პროცენტის მოცულობა აუთვისებელ თანხაზე) კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.
4. ბანკი უფლებამოსილია ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას კრედიტის გაცემაზე, თუ მსესხებლის მიერ არ იქნება დაკმაყოფილებული წინამდებარე დოკუმენტით და/ან მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებული კრედიტის გაცემის წინაპირობები და/ან მსესხებლის მიერ აღებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებებით, ასევე თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა პირობა, აგრეთვე ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლის დროსაც ეჭვის ქვეშ დადგება კრედიტის დროულად დაბრუნება და მისი მიზნობრივი გამოყენება.
5. თუ ბანკის მიერ ჩატარებული ფინასური ანალიზის შედეგად გამოვლინდება, რომ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა/კრედიტუნარიანობა გაუარესდა, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას კრედიტის გაცემაზე.
6. (ამოღებულია)

მუხლი 19. მოკლევადიანი საკრედიტო ხელშეკრულება

1. კლიენტისათვის ცნობილია, რომ კრედიტის გაცემა იწარმოებს მხოლოდ კლიენტთან გაფორმებული მოკლევადიანი საკრედიტო ხელშეკრულებითა და მის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში.
2. ბანკის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის მიზნით ანგარიშსწორების ანგარიშზე თანხის შეტანა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორების ან პირადად მსესხებლის/მესამე პირის მიერ, მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, ხელშეკრულებითა და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესითა და ვადებში.
3. (ამოღებულია)

მუხლი 20. ოვერდრაფტის დაშვების შესახებ ხელშეკრულება

1. ოვერდრაფტის დავალიანების (ოვერდრაფტის ძირითადი თანხა და პროცენტი) ვადაში არ დაფარვის ან არასრულად დაფარვის შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეაჩეროს ოვერდრაფტის მოქმედება დავალიანების სრულად დაფარვამდე. აღნიშნულის შემდეგ ბანკი უფლებამოსილია განიხილოს კლიენტის ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების მიზანშეწონილობა.
2. ოვერდრაფტის თანხის ვადაში არ დაფარვის შემთხვევაში ბანკი, 31-ე დღიდან, შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში არ დაარიცხავს ოვერდრაფტს პირგასამტეხლოს, ხოლო შეღავათიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაერიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო.
3. კლიენტი იღებს ვალდებულებას წერილობითი ფორმით სამი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს ბანკს ხელფასის თანხის, სამუშაო ადგილის და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ცვლილების შესახებ.

4. ბანკი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეცვალოს ოვერდრაფტის ლიმიტი კლიენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თუ მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის შემოსავლების ოდენობის შემცირების ან ბანკების ან ორგანიზაციების მიმართ წარმოქმნილი დამატებითი სასესხო ვალდებულებების შესახებ.
5. კლიენტს ხელშეკრულების მოშლის უფლება აქვს მისი მოქმედების ნებისმიერ სტადიაზე.
6. კლიენტი თანახმაა ოვერდრაფტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ მის პერიოდულად ავტომატურ გაგრძელებებზე. განახლებული ხელშეკრულება ვადის ამოწურვისას ყოველ ჯერზე ექვემდებარება პროლონგაციის იგივე წესს.
7. გარდა კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული საფუძვლებისა, კლიენტის უფლება გამოიყენოს ოვერდრაფტი ცალმხრივად უქმდება ბანკის მიერ ასევე შემდეგ შემთხვევებში:
   7.1. კლიენტის ხელფასის თანხა, სხვადასხვა დაქვითვების გამო, საკმარისი არ არის ოვერდრაფტის თანხის და მასზე დარიცხული პროცენტის დასაფარად.
   7.2. კლიენტს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება.
   7.3. კლიენტი იმყოფება დეკრეტულ ან/და უხელფასო შვებულებაში (ერთ თვეზე მეტი ხნით).
8. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული გარემოებების შესახებ.
9. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ოვერდრაფტი და მასზე დარიცხული პროცენტი, ასევე ნებისმიერი სხვა დავალიანება, მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში.

მუხლი 20[1]. ხელშეკრულება ოვერდრაფტის “Flex Fund” დაშვების შესახებ

1. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ მის მიერ ხელშეკრულების დადების დღისთვის ბანკისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია არსებული ვალდებულებების და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ნებისმიერი ანგარიში, დებულება ან დოკუმენტაცია ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების შესახებ, საგადასახადო ანგარიშგების ჩათვლით) არის უტყუარი და ზუსტი. მისთვის ცნობილია, რომ ბანკისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობის მიწოდება კრედიტის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის მიზნით წარმოადგენს საკმარის საფუძველს გაფორმებული ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი ნაწილის დასარღვევად, შესაწყვეტად, მოსაშლელად, შესაჩერებლად და/ან გასაუქმებლად, და აგრეთვე იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
2. ოვერდრაფტის თანხაზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე დაშვებული ლიმიტის ათვისებიდან მეორე დღეს. კრედიტის თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურ საფუძველზე, ამასთან წელიწადში დღეთა რაოდენობა უტოლდება 365-ს, ხოლო თვეში 30 დღეს. კრედიტზე პროცენტების დარიცხვისას მხედველობაში მიიღება წლიური საპროცენტო განაკვეთი და ფაქტიური კალენდარული დღეების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ხდება კრედიტით სარგებლობა.
3. ოვერდრაფტის დავალიანების (ოვერდრაფტის ძირითადი თანხა და/ან პროცენტი) ვადაში არ დაფარვის ან არასრულად დაფარვის შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეაჩეროს ოვერდრაფტის მოქმედება დავალიანების სრულად დაფარვამდე. აღნიშნულის შემდეგ ბანკი უფლებამოსილია განიხილოს კლიენტის ანგარიშზე ოვერდრაფტის დაშვების მიზანშეწონილობა.
4. ოვერდრაფტის ვადამოსული შენატანის (ოვერდრაფტის ძირითადი თანხა და/ან პროცენტი) ვადაში არ დაფარვის ან არასრულად დაფარვის შემთხვევაში ბანკი დაარიცხავს ოვერდრაფტს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5. (ამოღებულია)
6. ბანკი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეცვალოს ოვერდრაფტის ლიმიტი კლიენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თუ მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის შემოსავლების ოდენობის შემცირების ან სხვა ბანკების ან ორგანიზაციების მიმართ წარმოქმნილი დამატებითი სასესხო ვალდებულებების შესახებ.
7. კლიენტი იღებს ვალდებულებას, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ, აცნობოს ბანკს რეგულარული შემოსავლის თანხის და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ცვლილების შესახებ.
8. კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული რაიმე სახის სასესხო/საკრედიტო დავალიანების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში (რაც გამოწვეულია სხვა ბანკში მის მიერ ან სხვა პირის მიერ აღებული სესხის რეფინანსირებით) იგი ვალდებულია პირველ რიგში დაფაროს ოვერდრაფტის ხელშეკრულების საფუძველზე დაშვებული ოვერდრაფტის თანხა სრულად, მასზედ დარიცხული პროცენტითა და არსებული სხვა

გადასახდელებით. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას მოსთხოვოს ბანკს სხვა სახის საკრედიტო/სასესხო დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე დაფარვა.

9. კლიენტს ხელშეკრულების მოშლის უფლება აქვს მისი მოქმედების ნებისმიერ სტადიაზე.
10. კლიენტი თანახმაა, ოვერდრაფტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, მის პერიოდულად ავტომატურ გაგრძელებებზე. განახლებული ხელშეკრულება ვადის ამოწურვისას ყოველ ჯერზე ექვემდებარება პროლონგაციის იგივე წესს, პროლონგაციის დროს ბანკში მოქმედი საპროცენტო განაკვეთით.
11. გარდა კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული საფუძვლებისა, კლიენტის უფლება გამოიყენოს ოვერდრაფტი ცალმხრივად, უქმდება ბანკის მიერ ასევე შემდეგ შემთხვევებში:
    ა) აღარ მოხდა ოვედრაფტის ვადის გაგრძელება.
    ბ) კლიენტის ანგარიშზე შეწყდა/შემცირდა რეგულარული შემოსავალი/კლიენტს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გაიცა ოვედრაფტი.
    გ) თუ კლიენტის მიერ არ მოხდება ვალდებულებების შესრულება ან ბანკისთვის ცნობილი გახდა, რომ მსესხებელი მომავალში ვეღარ შეასრულებს მას.
    დ) კლიენტის რეგულარული შემოსავლის თანხა საკმარისი არ არის ოვერდრაფტის თანხის და მასზე დარიცხული პროცენტის დასაფარად.
12. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ამ მუხლის მე-11 პუნქტში მითითებული გარემოებების შესახებ.
13. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ოვერდრაფტი, მასზე დარიცხული პროცენტი, პირგასამტეხლო, ასევე ნებისმიერი სხვა დავალიანება ამ მუხლის მე-11 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში.

მუხლი 21. (ამოღებულია).

მუხლი 22. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების განაკვეთზე (ხოლო რეფინანსირების განაკვეთის არარსებობისას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთზე):

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი (მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი) საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ გვერდიდან: www.nbg.gov.ge
2. მსესხებელს საშუალება აქვს საკრედიტო ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას და შეცვლილ გადახდის გრაფიკს გაეცნოს ინტერნეტ-ბანკინგის თავის ელექტრონულ გვერდზე, ამასთან მსესხებელი ვალდებულია იქონიოს აქტიური ინტერნეტ-ბანკინგი შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 23. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც გაფორმებულია შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტის ფარგლებში:

1. **ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**
    1.1. **ტრანში** - ბანკის მიერ შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტის ფარგლებში ერთსა და იმავე მსესხებელზე ერთი მიმდინარე კრედიტის ნაწილ–ნაწილ, ეტაპობრივი გაცემა, რომელიც არ წარმოადგენს პარალელურ კრედიტს;
    1.2. **პარალელური კრედიტი** - შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ერთსა და იმავე მსესხებელზე გაცემული რამდენიმე მიმდინარე კრედიტი;
    1.3. **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი** – სააგენტოს მიერ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული „შეღავათიანი აგრო კრედიტის“ პროექტი (შემდგომში „პროექტი“)
    1.4. **სააგენტო** – ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ (ს/კ 404923785) მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;
    1.5. **მიზნობრივი თანადაფინანსება** – შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი ფარგლებში მსესხებლისთვის სააგენტოს მიერ გადახდილი წლიური საპროცენტო განაკვეთის ნაწილობრივი დაფინანსება.
2. მსესხებელი ან მესამე პირი, საკუთარი სახსრებით კრედიტის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, ვალდებულია მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების სახით გადაუხადოს ბანკს ვადამოსულ გადახდაზე ზედმეტად გადახდილი თანხის 0% (კრედიტის ვადამდე დაფარვის საკომისიო).
3. მსეხებელი უფლებამოსილია, კრედიტის (მათ შორის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების) ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვა განახორციელოს მხოლოდ სააგენტოს მიერ

დაფარვის დღისთვის მიზნობრივი თანადაფინანსების სრულად ჩარიცხვისა და ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთვევაში.

4. თუ ბანკსა და მსესხებელს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ (ტრანშებად) გაცემა, ბანკის მიერ კრედიტის ყოველი მომდევნო ნაწილის გაცემა წარმოებს მხოლოდ უკვე გაცემული წინა კრედიტის ხელშეკრულების (ასევე გაცემული წინა კრედიტის მიზნობრიობის), მსესხებლის მიერ შესრულების შემთხვევაში.
5. მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას და ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ ბანკმა მსესხებლთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სააგენტოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მსესხებელის მიერ კრედიტების/სესხების გაცემის მოთხოვნის მიზნით წარდგენილი განაცხადების, წარდგენილი საბუთებისა და გაცემული კრედიტების/სესხების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, გაცემული კრედიტების/სესხების მიზნობრიობა, ოდენობა, ვადა და საპროცენტო განაკვეთი, მიმდინარე კრედიტების/სესხების მოცულობა, დარიცხულ პროცენტი, კრედიტთან/სესხთან დაკავშირებული გადახდების ვადები (მათ შორის დაფარვის გრაფიკი) და გადახდების დროულობა, დავალიანების ნაშთი, უზრუნველყოფის საგანი და მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგები და სხვა ნებისმიერ სახის ინფორმაცია. აგრეთვე შეუფერხებლად მოიპოვოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია სააგენტოსაგან.
6. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს მიზნობრივი თანადაფინანსების შეწყვეტის/შეჩერების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7. თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება არ დაიშვება.

მუხლი 23[1]. დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც გაფორმებულია „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში

1. **ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**
   1.1. **ტრანში** - ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში ერთსა და იმავე მსესხებელზე ერთი მიმდინარე კრედიტის ნაწილ–ნაწილ, ეტაპობრივი გაცემა, რომელიც არ წარმოადგენს პარალელურ კრედიტს;
   1.2. **პარალელური კრედიტი** - შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ერთსა და იმავე მსესხებელზე გაცემული რამდენიმე მიმდინარე კრედიტი;
   1.3. **პროექტი** – სააგენტოს მიერ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელებული თანადაფინანსების პროექტი (შემდგომში „პროექტი“)
   1.4. **სააგენტო** –სსიპ „აწარმოე საქართველოში “ (ს/კ 204582763) მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე;
   1.5. **მიზნობრივი თანადაფინანსება** – პროექტის ფარგლებში მსესხებლისთვის სააგენტოს მიერ პროექტის ფარგლებში დამტკიცებული ნაწილობრივი დაფინანსება სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.
   1.6. **პროგრამის ბენეფიციარი/ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც მიიღო პროექტით განსაზღვრული ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად და რომელსაც გაფორმებული აქვს სააგენტოსთან შესაბამისი ხელშეკრულება. ბენეფიციარად მეწარმე სუბიექტი მიიჩნევა პროექტის დამტკიცების თაობაზე ბანკის მიერ სააგენტოში შესაბამისი შეტყობინების წარდგენის მომენტიდან.
   1.7. სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით განსაზღვრული მნიშვნელობა.
2. მსესხებელი ან მესამე პირი, საკუთარი სახსრებით კრედიტის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, ვალდებულია მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების სახით გადაუხადოს ბანკს ვადამოსულ გადახდაზე ზედმეტად გადახდილი თანხის 0% (კრედიტის ვადამდე დაფარვის საკომისიო).
3. მსეხებელი უფლებამოსილია, კრედიტის (მათ შორის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების) ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვა განახორციელოს მხოლოდ სააგენტოს მიერ დაფარვის დღისთვის მიზნობრივი თანადაფინანსების სრულად ჩარიცხვისა და ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთვევაში.
4. თუ ბანკსა და მსესხებელს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ (ტრანშებად) გაცემა, ბანკის მიერ კრედიტის ყოველი მომდევნო ნაწილის გაცემა წარმოებს მხოლოდ უკვე

გაცემული წინა კრედიტის ხელშეკრულების (ასევე გაცემული წინა კრედიტის მიზნობრიობის), მსესხებლის მიერ შესრულების შემთხვევაში.

5. მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას და ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, რომ ბანკმა მსესხებლთან დამატებითი შეთანხმების გარეშე გადასცეს სააგენტოს პროექტის ფარგლებში მსესხებელის მიერ კრედიტების/სესხების გაცემის მოთხოვნის მიზნით წარდგენილი განაცხადების, წარდგენილი საბუთებისა და გაცემული კრედიტების/სესხების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, გაცემული კრედიტების/სესხების მიზნობრიობა, ოდენობა, ვადა და საპროცენტო განაკვეთი, მიმდინარე კრედიტების/სესხების მოცულობა, დარიცხულ პროცენტი, კრედიტთან/სესხთან დაკავშირებული გადახდების ვადები (მათ შორის დაფარვის გრაფიკი) და გადახდების დროულობა, დავალიანების ნაშთი, უზრუნველყოფის საგანი და მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგები და სხვა ნებისმიერ სახის ინფორმაცია. აგრეთვე შეუფერხებლად მოიპოვოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია სააგენტოსაგან. სააგენტო უფლებამოსილია შეუზღუდავად და შეუფერხებლად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში მიიღოს ბანკის მიერ ბენეფიციარზე პროგრამის ფარგლებში გაცემული კრედიტების შესახებ ბანკის ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის და არა მხოლოდ სესხის გრაფიკი) გარდა ბანკსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციისა, რაზეც ბენეფიციარი წინასწარ იძლევა თანხმობას.
6. მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს მიზნობრივი თანადაფინანსების შეწყვეტის/შეჩერების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7. თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება არ დაიშვება.
8. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კრედიტ(ებ)ი გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.
9. მსესხებელი მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს, რომ გაეცნო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებას და მისგან გამომდინარე ბენეფიციარის ვალდებულებებს და იღებს მათი ჯეროვნად და სრულად შესრულების ვალდებულებას. ასევე გათვიცნობიერებული აქვს, რომ აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები. მსესხებელი ვალდებულია გაეცნოს ზემოაღნიშნული დადგენილების ნებისმიერ ცვლილება/დამატებას მისი ძალაში შესვლისთანავე და სრულად შეასრულოს მისგან გამომდინარე ვალდებულებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
10. გარდა წინამდებარე დოკუმენტითა და ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი გარემოებებისა, პროექტის და თანადაფინანსების/სუბსიდირების შეწყვეტა შესაძლებელია მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით და/ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებით.
11. ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს მის მიერ მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების შესაბამისი ფორმით ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შშმ პირების შეუფერხებელი დაშვების და გადაადგილების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას/გაუმჯობესებას. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის, არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევაში, ბენეფიციარს სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით და მიეცემა დამატებითი 6 (ექვსი) თვიანი ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება სააგენტოს მიერ და მის სასარგებლოდ, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სახელმწიფო ხაზინაში.
12. ბენეფიციარი ვალდებულია თანამშრომლების შერჩევის ეტაპზე, ერთი და იმავე კვალიფიკაციის კანდიდატების შორის უპირატესობა მიანიჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირ(ებ)ს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის, არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარს სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 200 (ორასი) ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება სააგენტოს მიერ და მის სასარგებლოდ, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სახელმწიფო ხაზინაში, არაუგვიანეს დაკისრებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.
13. ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს მისთვის დამტკიცებული სესხის სრული ოდენობით ათვისება სააგენტოს მიერ შესაბამისი დადასტურებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მისი მხრიდან სესხის ათვისების/აღების შემთხვევაში, სააგენტო თანადაფინანსებას განახორციელებს სესხის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გაცემულ იქნა დადასტურებიდან 2 (ორი) წლის ვადაში.
14. ბენეფიციარი ვალდებულია განუხრელად დაიცვას წარმოების დაწყების და პროფილის შენარჩუნების ვალდებულებები, რომელიც მოცემულია 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებაში (მასში შეტანილი

ცვლილება-დამატებებით, დანართებით და გარდამავალი დებულებებით). ბენეფიციარი ადასტურებს, რომ სესხის გაცემამდე ბანკმა მოახდინა წინამდებარე პუნქტში მითითებული ვალდებულებების შესახებ მისი სრულყოფილი ინფორმირება და მისთვის გასაგებია დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებების შინაარსი, შესრულების პირობები და დარღვევის, შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შესაძლო სამართლებრივი შედეგები.

15. პროგრამის ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში ბენეფიციარი ვალდებულია სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიაწოდოს სააგენტოს ფინანსური და სხვა სახის მოთხოვნილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაში მას სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება სააგენტოს მიერ და მის სასარგებლოდ, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სახელმწიფო ხაზინაში, არაუგვიანეს დაკისრებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში.
16. ბენეფიციარისთვის ცნობილია, რომ მისი მხრიდან დადგენილებით, ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ნებისმიერი სახის ვალდებულების ან/და მოთხოვნის დარღვევის/შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი შესაბამის ინფორმაციას და დოკუმენტაციას მიაწვდის სააგენტოს, რასაც შეიძლება მოყვეს სააგენტოს მხრიდან ბენეფიციარის მიმართ საჯარიმო სანქციის/პირგასამტეხლოს დაკისრება, თანადაფინანსების შეჩერება, თანადაფინანსების შეწყვეტა, ხელშეკრულების შეწყვეტა და ა.შ.
17. ბენეფიციარს დამატებით ევალება შემდეგი სახის მარკეტინგული ვალდებულებების შესრულება: ა) საქმიანობის განხორციელების ადგილას განათავსოს აბრა წარწერით: „პროექტი განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით“; ბ) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, სატელევიზიო გამოსვლისას, ვალდებულია მოიხსენიოს სააგენტო მხარდაჭერის თაობაზე; გ) პროექტის გახსნა დაიგეგმოს სააგენტოსთან ერთად (აღნიშნული არ ავალდებულებს სააგენტოს ბენეფიციარის მიერ გახსნის ორგანიზებაში მონაწილეობას); დ) ბენეფიციარის მიერ პროდუქციის ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში, შეატყობინოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე; ე) ბენეფიციარის მიერ წარმოებულ პროდუქტზე ასახულ ლოგოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად, განთავსებულ იქნას სააგენტოს ლოგოც (მითითებული სახით):

აწარმოე საქართველოში

ვ) ინგლისური ლოგოს შემთხვევაში გამოყენებულ იქნას სააგენტოს ინგლისური ლოგოს ნიმუში (მითითებული სახით):

ENTERPRISE GEORGIA

ზ) წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მარკეტინგული ვალდებულებების (ერთ-ერთის მაინც) დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს პირველ ჯერზე ეძლევა გაფრთხილება, ხოლო ხარვეზის მეორედ აღმოჩენის შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
18. ბანკს და ბენეფიციარს შორის შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს დანართ(ებ)ი, სადაც განისაზღვრება ბენეფიციარის სხვადასხვა ვალდებულებები. დანართ(ებ)ი (მასში შეტანილი ცვლილება-დამატებებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ბანკს და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ბენეფიციარი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს მასში მოცემული ვალდებულებები.

მუხლი 24. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება

1. საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან და მოქმედებს საბანკო გარანტიის ვადის ამოწურვამდე, თუ იგი ვადაზე ადრე არ იქნა შეწყვეტილი სათანადო წესით.
2. გარანტი ვალდებულია გადაუხადოს ბენეფიციარს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით განსაზღვრული საბანკო გარანტიის თანხა, ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულებითა და ასევე საბანკო გარანტიის დოკუმენტში განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. გარანტი უფლებამოსილია არ გადაუხადოს ბენეფიციარს საგარანტიო თანხა, თუ მისი მოთხოვნა შეუსაბამოა საბანკო გარანტიის პირობებთან.
3. ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში უნდა აღინიშნოს, რომ:
   3.1. პრინციპალის მიერ დაირღვა ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება და რომელიც შეადგენს განსაზღვრულ ფულად თანხას. ამ ფულადი თანხის ოდენობა ასახულ უნდა იქნეს ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში.
   3.2. წერილობით მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ფულადი ვალდებულების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. გარანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს ბენეფიციარის მხრიდან წაყენებული მოთხოვნა და გადასცეს მას მოთხოვნის ასლი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
5. პრინციპალი იღებს ვალდებულებას, წარუდგინოს ბანკს მისი ბენეფიციარის წინაშე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების (რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს საბანკო გარანტია) შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ყოველი ასეთი შესრულების შემდგომ დაუყოვნებლივ. გარდა ამისა პრინციპალი თანახმაა და ბანკი იტოვებს უფლებას მასზედ, რომ მან ამგვარი ინფორმაცია მიიღოს უშუალოდ ბენეფიციარისაგან.
6. საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგრესის თანხაზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება პრინციპალის მიერ რეგრესის თანხის გადახდის ვადაგადაცილების მომენტიდან.
7. რეგრესის თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურ საფუძველზე, ამასთან წელიწადში დღეთა რაოდენობა უტოლდება 365-ს.
8. ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს პრინციპალს რეგრესის თანხის ერთჯერადად ან ნაწილ-ნაწილ დაფარვა. არჩევის უფლებამოსილება გააჩნია გარანტს, რაზედაც პრინციპალი აცხადებს თანხმობას.
9. ბანკი უფლებამოსილია პრინციპალს წერილობით გაუგზავნოს საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგრესის თანხის ვადამდე დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც მისი მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს პრინციპალის მიერ მთელი მოცულობით.
10. იმ შემთხვევაში, თუ საბანკო გარანტია და ბანკის მისაღები საპროცენტო თანხა უზრუნველყოფილია პრინციპალის კუთვნილი თანხით (რომელიც გადატანილია ბანკის კუთვნილ უზრუნველყოფის ანგარიშზე: დეპოზიტები გარანტიების მიხედვით), აღნიშნული თანხა კლიენტს დაუბრუნდება მიმდინარე ანგარიშზე:
    10.1. აღგილობრივი გარანტიის შემთხვევაში, გარანტიის ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ;
    10.2. საერთაშორისო დადასტურებული გარანტიის შემთხვევაში, გარანტიის ვადის ამოწურვიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ;
11. წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული, ბანკის მისაღები პროცენტის შესაბამისი თანხა, გარანტიის ვადის ბოლოს პრინციპალს დაუბრუნდება მიმდინარე ანგარიშზე იმის გათვალისწინებით, რომ გარანტიის მოქმედების პერიოდში პრინციპალი საკუთარი სახსრებით მოახდენს გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო თანხის დაფარვას.
12. პრინციპალი ვალდებულია გარანტის მოთხოვნის საფუძველზე, მის მიერ დადგენილ ვადებში, წერილობითი ფორმით, წარუდგინოს გარანტს დოკუმენტაცია მისი ფინანსური მდგომარეობის და საქმიანი ოპერაციების შესახებ, საგადასახადო ანგარიშების ჩათვლით.

მუხლი 25. აკრედიტივის ხელშეკრულებაზე ასევე ვრცელდება შემდეგი პირობები:

1. აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოები განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებისა და მოკორესპონდენტო/დამადასტურებელი ბანკის ტარიფების მიხედვით.
2. აპლიკანტი ანაზღაურებს ყველა ხარჯს და საკომისიოს, რომელიც დაკავშირებული იქნება აკრედიტივის გაცემასა და მის მომსახურებასთან, მათ შორის:
   2.1. აკრედიტივის გახსნის/გაცემის საკომისიო: ხელშეკრულებით განსაზღვრული აკრედიტივის თანხის 0,2%, მინ. 150 აშშ დოლარი;
   2.2. აკრედიტივის ცვლილების/გაუქმების საკომისიო: 150 აშშ დოლარი;

2.3. წინასწარ ავიზირებით აკრედიტივის გაცემის საკომისიო: 150 აშშ დოლარი;
2.4. დოკუმენტების/აკრედიტივის პირობებთან შეუსაბამო დოკუმენტების შემოწმება/ექსპერტიზის საკომისიო: ხელშეკრულებით განსაზღვრული აკრედიტივის თანხის არაუმეტეს 0.2%, ან სულ მცირე 150 აშშ დოლარი.
2.5. დოკუმენტების შემოწმებისა და გადახდის საკომისიო: ხელშეკრულებით განსაზღვრული აკრედიტივის თანხის 0,2%, მინ. 150 აშშ დოლარი;

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული აკრედიტივით მომსახურების საზღაური/პროცენტი იანგარიშება წელიწადში 365 დღეზე და მისი გადახდის გრაფიკი განისაზღვრება დანართით, რომელიც ერთვის აკრედიტივის ხელშეკრულებას.
4. აკრედიტივის თანხაზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება აკრედიტივის გახსნის დღიდან;
5. (ამოღებულია)
6. ბანკსა და აპლიკანტს შორის გაფორმებული აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგრესის თანხის ერთჯერადად ან ნაწილ-ნაწილ დაფარვის არჩევის უფლებამოსილება გააჩნია ბანკს.
7. აკრედიტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეგრესის თანხაზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება აპლიკანტის მიერ რეგრესის თანხის გადახდის ვადაგადაცილების მომენტიდან.
8. რეგრესის თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურ საფუძველზე, ამასთან წელიწადში დღეთა რაოდენობა უტოლდება 365-ს.
9. ბანკი უფლებამოსილია აპლიკანტს წერილობით გაუგზავნოს რეგრესის თანხის ვადამდე დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც მისი მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს აპლიკანტის მიერ მთელი მოცულობით.
10. აკრედიტივის ხელშეკრულებით ბანკი, აპლიკანტის ან სხვა მესამე პირის წინაშე, არ იღებს არანაირ ვალდებულებას იმ შედეგებსა თუ ქმედებებზე, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ან დაკავშირებული იყოს საქონელთან, მიწოდებასა თუ სხვა ქმედებასთან, რასაც შეიძლება ეხებოდეს მხარეებს შორის გაფორმებული აკრედიტივის ხელშეკრულება. ბანკს შეხება აქვს მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტაციასთან და არა საქონელსა თუ მომსახურებასთან, რასაც შეიძლება ეხებოდეს ეს დოკუმენტები.
11. ბანკი ასევე არ იღებს ვალდებულებას მიწოდებული დოკუმენტის ფორმის, საკმარისობის, სიზუსტის, ნამდვილობის, ფალსიფიკაციის ან რაიმე სამართლებრივი ეფექტის, დოკუმენტში მითითებული პირობების, აღწერილობის, აგრეთვე საქონლის რაოდენობის, წონის, ხარისხის, მდგომარეობის, შეფუთვის, მოწოდების, ღირებულების ან საქონლის არსებობის, დოკუმენტში აღწერილი მომსახურების ან სხვა ქმედებების გამო.
12. ბანკი ასევე არ იღებს ვალდებულებას მიწოდებული დოკუმენტის ფორმის, საკმარისობის, სიზუსტის, ნამდვილობის, ფალსიფიკაციის ან რაიმე სამართლებრივი ეფექტის, დოკუმენტში მითითებული პირობების, აღწერილობის, აგრეთვე საქონლის რაოდენობის, წონის, ხარისხის, მდგომარეობის, შეფუთვის, მოწოდების, ღირებულების ან საქონლის არსებობის, დოკუმენტში აღწერილი მომსახურების ან სხვა ქმედებების გამო.

მუხლი 26. საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება. ბიზნეს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება

1. **საკრედიტო ბარათი/ბიზნეს საკრედიტო ბართი (შემდგომში „ბარათი“)** – საბანკო პლასტიკური ბარათი რომელზეც დაშვებულია ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტი. ბარათის მეშვეობით შესაძლებელია ბარათის მფლობელის, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში ბარათის მოსარგებლის მიერ თანხის გამოყენება/ათვისება მრავალჯერადად, დაშვებული ლიმიტის ფარგლებში.
2. **კლიენტი** – ბარათის მფლობელი ან ბარათით მოსარგებლე.
3. **ბარათით მოსარგებლე** - ბარათის მფლობელი იურიდიული პირის წარმომადგენლის მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომლის სახელი და გვარი იქნება ამოტვიფრული ბარათზე და რომელიც შეძლებს აღნიშნული ბარათით სარგებლობას.
4. **საკრედიტო ლიმიტი** – კრედიტის ის მაქსიმალური ოდენობა, რომლის გამოყენებაც შეუძლია კლიენტს საკრედიტო ბარათის საშუალებით.
5. **ვადაგადაცილების თარიღი** – დაფარვის პერიოდის მომდევნო კალენდარული დღე.
6. **ვადაგადაცილებული თანხა** – დაფარვის პერიოდში გადაუხდელი მინიმალური შენატანი, ან მისი ნაწილი.
7. **საშეღავათო პერიოდი** – პერიოდი, რომლის განმავლობაში გამოყენებულ თანხას პროცენტი არ ერიცხება, რაც შეადგენს მაქსიმუმ ოცდათექვსმეტ (36) კალენდარულ დღეს. თუ კლიენტი დაფარვის პერიოდის განმავლობაში განახორციელებს სრულ შენატანს, პროცენტის დარიცხვა ამ საშეღავათო პერიოდში ათვისებულ თანხაზე არ განხორციელდება. ყოველი მომდევნო თვის საშეღავათო პერიოდი ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სრულად აქვს დაფარული გამოყენებული თანხა არაუგვიანეს წინა თვის დაფარვის პერიოდის ბოლო დღის 24:00 საათისა.

8. **არასამუშაო დღე** – შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები.
9. **გადახარჯვა** – კლიენტის არაპირდაპირი თანხმობის საფუძველზე ავტომატურად დაშვებული იმ ოდენობის ოვერდრაფტი, რომელიც აღემატება კლიენტის საბარათე ანგარიშზე არსებულ თანხას ან/და ცალსახად შეთანხმებულ ოვერდრაფტის, ან საკრედიტო ლიმიტის ოდენობას.
10. კლიენტს აქვს უპროცენტო კრედიტით სარგებლობის შესაძლებლობა, თუ იგი დაფარვის პერიოდში განახორციელებს სრულ შენატანს.
11. თუ გამოყენებულ თანხაზე არ ვრცელდება საშეღავათო პერიოდისთვის გათვალისწინებული პირობები, მაშინ საპროცენტო სარგებელი დაერიცხება მსესხებლის მიერ დაანგარიშების თარიღში დაფიქსირებულ ნაშთს.
12. კლიენტი ვალდებულია ყოველთვიურად დაფაროს მინიმალური შენატანი დაფარვის პერიოდში, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი მოახდენს ბარათზე დაშვებული ლიმიტის ბლოკირებას (კლიენტის ანგარიშებზე აუთვისებელი ნაშთის ზევით თანხების ხარჯვის შეზღუდვა). მინიმალური შენატანის დაფარვა შესაძლებელია მისი დაანგარიშების თარიღიდან, მაგრამ სავალდებულოა დაფარვის პერიოდის ამოწურვამდე.
13. კლიენტის მიერ ბარათის დავალიანების (ათვისებული თანხა, პროცენტი, პირგასამტეხლო და სხვ.) სრულად დაფარვისა შემთხვევაში, ბანკი კლიენტის განაცხადის საფუძველზე, უფლებამოსილია მოხსნას ზემოაღნიშნული შეზღუდვა ბარათზე ან/და განიხილოს კლიენტის ანგარიშზე ლიმიტის დაშვების მიზანშეწონილობა.
14. კლიენტის მიერ ლიმიტის სრულად ათვისების შემთხვევაში დაფარულ ნაწილში ლიმიტი არ განახლდება ვალდებულებათა სრულ და ჯეროვან შესრულებამდე და კლიენტს დაერიცხება პირგასამტეხლო მინიმალური შენატანის დაუფარავ ნაწილზე.
15. გამოყენებული თანხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ დაფარვის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს კლიენტს პირგასამტეხლო ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით და ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
16. (ამოღებულია)
17. კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის სასესხო/საკრედიტო დავალიანების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში (რაც გამოწვეულია სხვა ბანკში მის მიერ ან სხვა პირის მიერ აღებული სესხის რეფინანსირებით) იგი ვალდებულია, პირველ რიგში, დაფაროს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაშვებული ბარათის ლიმიტის თანხა სრულად, დარიცხული პროცენტითა და სხვა გადასახდელებით, აღნიშნულის შემდეგ, მოსთხოვოს ბანკს სხვა სახის საკრედიტო/სასესხო დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე დაფარვა.
18. კლიენტი ვალდებულია სრულად დაფაროს არსებული დავალიანება (გამოყენებული თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო, საკომისიო) საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.
19. იმ შემთხვევაში, თუ საშეღავათო პერიოდი ცდება/აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, საშეღავათო პერიოდის ბოლო დღე უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ბოლო დღე.
20. კლიენტთან გაფორმებული საკრედიტო ბარათით და/ან ბიზნეს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დაიხურება აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე/ფარგლებში გაცემული ყველა საკრედიტო/ბიზნეს საკრედიტო ბარათი.
21. საკრედიტო ბარათზე ლიმიტის დაშვება არ განხორციელდება კლიენტის მიერ საბიუჯეტო ვალდებულებების შესასრულებლად.
22. კლიენტი ვალდებულია, აუნაზღაუროს ბანკს ბანკის მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯი.
23. იურიდიული პირის შემთხვევაში, ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის მომსახურების ზოგადი პირობების და მომსახურების ტარიფები გააცნოს ბარათით მოსარგებლეს.
24. ბარათზე დაიშვება გადახარჯვა. გადახარჯვის ფაქტის დადგომის შემდეგ, ბანკი მოახდენს კლიენტის ინფორმირებას ერთჯერადად, დაუყოვნებლივ, ბანკის ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს გადახარჯვის ფაქტის დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ბანკს და კლიენტს შორის შეთანხმებული ნებისმიერი საკომუნიკაციო არხის საშუალებით - წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტ-ბანკით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, სატელეფონო ზარით.
25. თითოეულ შემთხვევაში კონკრეტულ კლიენტთან, კონკრეტული საკომუნიკაციო არიხის არჩევა ცალმხრივად მოხდება ბანკის მიერ.
26. გადახარჯვის თითოეული ფაქტის შესახებ შეტყობინებით, ბანკი კლიენტს მიაწვდის ინფორმაციას: გადახარჯვის ფაქტის შესახებ, გადახარჯვის ჯამურ თანხას, ინფორმაციას შესაძლო პირგასამტეხლოს და სხვა სახის ხარჯის შესახებ, რომელიც შეიძლება დაეკისროს კლიენტს.
27. კლიენტი ვალდებულია საკონტაქტო ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. ბანკი არ აგებს პასუხს წინამდებარე მუხლში მოცემული ვალდებულების დარღვევისათვის, თუ კლიენტთან

დაკავშირება ან/და მისთვის ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება მისი ბრალეულობით და/ან კლიენტმა შეიცვალა საკონტაქტო ინფორმაცია და ამის შესახებ არ უცნობებია ბანკისათვის.

28. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს ბარათით განხორციელებული ოპერაციის შედეგად გადახარჯული თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას გადახარჯულ თანხაზე დაარიცხოს როგორც საპროცენტო სარგებელი, წლიური 36 %-ის ოდენობით, ასევე პირგასამტეხლო გადახარჯული თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება დავალიანების სრულად დაფარვამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 კალენდარული დღისა.

მუხლი 27. საკრედიტო ბარათით მომსახურების ზოგადი პირობები, რომლებიც ვრცელდება საკრედიტო ბარათით და ბიზნეს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებებზე.

1. შესავალი

1.1. საკრედიტო ბარათით (შემდგომში „ბარათი“) მომსახურების პირობები და წესები განისაზღვრება ამ მუხლით, საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით, საკრედიტო ბარათით მომსახურების ტარიფებით, „ვიზა“-ს საერთაშორისო სისტემის პროცედურებით და საქართველოს ეროვნული ბანკის ცალკეული ნორმატიული აქტებით.

1.2. ბანკი გადასცემს კლიენტს დალუქულ კონვერტში მოთავსებულ საკრედიტო ბარათს და უზრუნველყოფს კლიენტის მიერ ბარათისთვის სასურველი პინ-კოდის მინიჭებას. კლიენტი ბარათის მიღებისას ხელს აწერს ბარათის მეორე მხარეს სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას.

1.3. პინ-კოდი არის ბარათის თანმხლები პერსონალური კონფიდენციალური კოდი, რომელიც ბარათთან ერთად წარმოადგენს კლიენტის ელექტრონულ იდენტიფიკატორს. იგი გამოიყენება ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში ტრანზაქციების შესასრულებლად.

1.4. ბარათით მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია პინ–კოდის შეცვლა იმის და მიუხედავად ახსოვს თუ არა მიმდინარე პინ–კოდი ბარათით მოსარგებლეს.

1.5. ბარათის საფასურის გადახდა ეკისრება კლიენტს ყოველწლიურად, დაწყებული ბარათის შეკვეთის დღიდან ბარათის მოქმედების ვადის დასრულებამდე. საფასურის აღება მოხდება, ბარათით მომსახურების ტარიფების შესაბამისად, კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან ეროვნულ ვალუტაში ან მიმდინარე სავალუტო / შემნახველი ანგარიშიდან, ასევე საკრედიტო ბარათის ანგარიშზე დაშვებული ლიმიტიდან. ეროვნული ვალუტისგან განსხვავებული ვალუტის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შემთხვევაში კონვერტაცია შესრულდება ბანკის შიდა კომერციული კურსით.

1.6. კლიენტის მიერ ბარათის შეკვეთის დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის შეთანხმება, რომლიც გამოიყენება ტელეფონის საშუალებით კლიენტის იდენტიფიკაციისთვის. კლიენტს ეკრძალება ამ ინფორმაციის სხვა პირისთვის გადაცემა.

1.7. კლიენტს შეუძლია დაუკავშირდეს ბანკის დისტანციური ბანკინგის ქვეგანყოფილებას (ტელეფონის ნომერზე: +995 32 220-22-22, *2222), გაიაროს იდენტიფიკაცია და მიიღოს ინფორმაცია ბარათთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ, ან დაბლოკოს ბარათი (საჭიროების შემთხვევაში).

2. ბარათით განხორციელებული ოპერაციები

2.1. კლიენტს ბარათის საშუალებით შეუძლია აწარმოოს:

- ნაღდი ოპერაცია - თანხის განაღდება ბანკომატის/პოს-ტერმინალის საშუალებით;
- უნაღდო ოპერაცია - თანხის გადახდა პოს-ტერმინალის და ინტერნეტის საშუალებით.

2.2. ბანკომატით შესრულებული ნებისმიერი ტრანზაქცია კლიენტის მიერ დასტურდება პინ-კოდით, პოს-ტერმინალით შესრულებული ტრანზაქცია შეიძლება დასტურდებოდეს პინ-კოდით და/ან ხელმოწერით, ინტერნეტით შესრულებული ტრანზაქცია არ საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას.

2.3. ბარათის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის განაღდების/გადახდის შემთხვევაში ბარათზე ტრანზაქცია აისახება ექვივალენტი თანხით. კონვერტაციის კურსი დამოკიდებულია ტრანზაქციის შემსრულებელ ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე:

- საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში კონვერტაცია სრულდება ტრანზაქციის დღეს ბანკის შიდა კომერციული კურსით;
- სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში კონვერტაცია სრულდება „ვიზა“-ს მიერ დადგენილი კურსით.

2.4. ბარათით შესრულებული ფაქტობრივი ტრანზაქციის თარიღი განსხვავდება სესხის ანგარიშზე მისი ასახვის თარიღისგან და დამოკიდებულია ტრანზაქციის შემსრულებელ ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე:

- საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია სესხის ანგარიშზე აისახება მომდევნო სამუშაო დღეს;
- ინტერნეტით შესრულებული გადახდა და სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია სესხის ანგარიშზე აისახება შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ. აღნიშნული ტრანზაქციის დამუშავების მაქსიმალური ვადა არის 30 კალენდარული დღე.

2.5. ბარათით შესრულებული ტრანზაქციის გაუქმების შემთხვევაში, გაუქმებული ტრანზაქციის თანხა ჩაირიცხება კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე და არა საბარათე ანგარიშზე.

2.6. ბანკის მიერ დადგენილია ბანკომატის საშუალებით თანხის განაღდების და პოს-ტერმინალით/ინტერნეტით შესრულებული გადახდების დღიური ლიმიტები. დღიური ლიმიტები მოცემულია ბარათით მომსახურების ტარიფებში.

2.7. ბარათებზე ასევე დაწესებულია ტრანზაქციების დღიური რაოდენობრივი ლიმიტი, რომელიც განსაზღვრულია ბარათით მომსახურების ტარიფებით.

2.8. ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებზე მომსახურების ტარიფებით გათვალისწინებული საკომისიოების გადახდა ეკისრება კლიენტს.

2.9. ბარათი არ შეიძლება გამოყენებული იქნას უკანონო მიზნებისთვის, მათ შორის იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ბარათის უსაფრთხოების წესები

3.1. პინ-კოდი წარმოადგენს პერსონალური იდენტიფიკაციის 4-ციფრიან ნომერს. გახსოვდეთ, რომ პინ-კოდი არის კონფიდენციალური და ის მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი. უსაფრთხოების თვალსაზრისით აკრძალულია:

- პინ-კოდის სხვა პირებისთვის, მათ შორის ნათესავებისთვის, ბანკის თანამშრომლებისთვის, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების თანამშრომლებისთვის გამჟღავნება;
- პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის, რაიმე ფორმით ბარათზე მითითება;
- პინ-კოდისა და ბარათის ერთად ტარება;
- პინ-კოდის გამჟღავნება ელ. ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;
- პინ-კოდის გამოყენება, გარდა ბანკომატებისა და პოს-ტერმინალებისა.

აღნიშნული მითითებების გათვალისწინება არის უსაფრთხოების გარანტია ბარათის გაყალბების და ფულადი სახსრების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით.

3.2. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შენაძენის საფასურის პლასტიკური ბარათით გადახდა ხორციელდება მაგნიტური ზოლის და/ან ჩიპის წამკითხავი ელექტრონული მოწყობილობის (პოს-ტერმინალის) მეშვეობით. პროკრედიტ ბანკის ყველა პოს-ტერმინალი კითხულობს როგორც ჩიპს, ასევე მაგნიტურ ზოლს. პროკრედიტ ბანკის პოს-ტერმინალით გადახდისას კლიენტმა ტრანზაქცია უნდა დაადასტუროს პინ-კოდით, რაც ზრდის კლიენტისა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის თანხების უსაფრთხოების ხარისხს.

3.3. აუცილებლად მოითხოვეთ, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში პლასტიკური ბარათით საგადამხდელო ოპერაციები განხორციელდეს თქვენი თანდასწრებით და ნუ გაატანთ ბარათს მომსახურე პერსონალს.

3.4. შენაძენის საფასურის გადახდის დროს სათანადო ქვითრის ხელმოწერით ან პინ-კოდით დადასტურებისას დააკვირდით ქვითარზე მითითებულ თანხას, ვალუტასა და თარიღს და მოითხოვეთ ქვითრის ასლი. დარწმუნდით, რომ პინ-კოდის შეტანისას თქვენი კონფიდენციალურობის უფლებები არ ირღვევა.

3.5. ბანკომატში ბარათის გამოსაყენებლად აუცილებელია პინ-კოდის შეტანა. ბანკომატი არ უნდა იყოს გარეგნულად დაზიანებული და ბანკომატის კორპუსზე არ უნდა იყოს დამონტაჟებული დამატებითი მოწყობილობები.

3.6. ინტერნეტში შესყიდვის შესასრულებლად საჭიროა ბარათის სრული ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, კლიენტის სახელი და გვარი და CVV2 კოდი. CVV2 კოდი არის ბარათის უკანა მხარეს ხელმოწერისთვის განკუთვნილ ზოლზე მითითებული ციფრებიდან ბოლო სამი ციფრი, (Card Verification Value).

3.7. უსაფრთხოების მიზნით აკრძალულია:

- ბარათის გადაცემა სხვა პიროვნებისთვის ან ბარათზე არსებული ინფორმაციის გამჟღავნება, ვინაიდან გაცემული ინფორმაცია საკმარისი იქნება არა ავტორიზებული შესყიდვებისთვის.

3.8. უსაფრთხოების მიზნით მიზანშეწონილია:

- ბარათი გამოიყენოთ მხოლოდ დაცულ და თქვენთვის ნაცნობ ვებ-გვერდებზე, სადაც მოითხოვება CVV2 კოდით შესყიდვის დადასტურება. დაცული ვებ-გვერდები ძირითადად იწყება https და არა http. ასევე, დაცულ ვებ-გვერდებზე ყოველთვის არსებობს დაცვის სისტემის ნიშნები - verified by visa, secure code და ა.შ.
- მუდმივად აკონტროლოთ ბარათის შენახვის ადგილი და ასევე, ბარათით შესრულებული ტრანზაქციები. ბანკი SMS საშუალებით გამოგიგზავნით ინფორმაციას თქვენი ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

3.9. ბანკი თავისი ინიციატივით არასდროს დაგიკავშირდებათ თქვენი ბარათის სრული ნომრის, პინ–კოდის ან CVV2 კოდის დასაზუსტებლად.

ბარათის უსაფრთხოების წესები, უფრო ვრცლად მოცემულია „საბანკო მომსახურების პირობებში“, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფისებში და ასევე ბანკის ინტერნეტ-გვერდზე. კლიენტი გაეცნო და ეთანხმება „საბანკო მომსახურების პირობებში“ არსებულ „ბარათების უსაფრთხოების სახელმძღვანელოს“.

4. ბარათით მომსახურების წესები

4.1. ბარათზე (მისი მოქმედების ვადის განმავლობაში) კლიენტის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: ბარათზე CVV2 კოდის გათიშვა/ჩართვა, ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა, ბარათზე დღიური განაღდების/ხარჯვის ლიმიტის გაზრდა, ბარათის დახურვა.

4.2. ინტერნეტით შესყიდვებისას თუ ვებ-გვერდი არ ითვალისწინებს ტრანზაქციის CVV2 კოდით დადასტურებას, მაშინ კლიენტი ამ ვებ-გვერდზე ბარათით შესყიდვას ვერ განახორციელებს. ასეთ შემთხვევაში კლიენტმა უნდა მიმართოს ბანკს CVV2 კოდის გათიშვის შესახებ მოთხოვნით. კლიენტს ასევე შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს CVV2 კოდის ჩართვა. კოდის ხელახლა ჩართვის შემთხვევაში კლიენტი არ თავისუფლდება ინტერნეტში განხორციელებული ყველა ტრანზაქციის პასუხისმგებლობისაგან.

4.3. ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება კლიენტის წერილობითი განაცხადის საფუძველზე. ცვლილების მოთხოვნით კლიენტს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ფილიალს/სერვისცენტრს/სერვის პუნქტს. კლიენტს ასევე შეუძლია ცვლილების მოთხოვნით დაუკავშირდეს ბანკის დისტანციური ბანკინგის ქვეგანყოფილებას, შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +995 32 220-22-22, *2222.

4.4. ბარათის დაკარგვის/მოპარვის ფაქტის ბანკისათვის არ შეტყობინების ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მატერიალური პასუხისმგებლობა დაკარგული/მოპარული ბარათით შეტყობინებამდე შესრულებულ ტრანზაქციებზე ეკისრება კლიენტს.

4.5. კლიენტს უფლება აქვს ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში მოითხოვოს ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმა. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას.

4.6. საერთაშორისო სტოპ-სიაში შესაძლებელია მხოლოდ ორი კვირის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კლიენტის სურვილის მიხედვით თავიდან უნდა მოხდეს ბარათის ჩასმა საერთაშორისო სტოპ-სიაში.

4.7. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა ხდება კონკრეტული რეგიონის მიხედვით.

4.8. ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმა ხდება მხოლოდ კლიენტის მიერ შესაბამისი მომსახურების საკომისიოს გადახდის შემთხვევაში.

4.9. კლიენტს შეუძლია ბარათის დაბლოკვიდან თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში მოითხოვოს დაბლოკილი ბარათის განბლოკვა.

4.10. ბარათის დაბლოკვიდან თხუთმეტი კალენდარული დღის გასვლის შემდეგ ბანკი კლიენტთან დამატებითი შეტყობინების გარეშე ხურავს ბარათს. დახურული ბარათი არ ექვემდებარება აღდგენას.

5. კლიენტის უფლება-მოვალეობები

5.1. კლიენტი ვალდებულია გაეცნოს ბარათით მომსახურების ზოგად პირობებს და ეკისრება ვალდებულება მათ შესრულებაზე.

5.2. კლიენტი ვალდებულია ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის ან ბარათის ვადამდე დახურვის შემთხვევაში თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში დაუბრუნოს ბარათი ბანკს.

5.3. კლიენტი ვალდებულია შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი (ანგარიშ-ქვითარი) და რეგულარულად შეამოწმოს ბარათის ამონაწერი, არანაკლებ თვეში ერთხელ.

5.4. კლიენტს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მისი ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

5.5. კლიენტი ვალდებულია ბარათის ტრანზაქციების არ ცნობის შემთხვევაში წერილობით მიმართოს ბანკს ტრანზაქციის შესრულებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრანზაქცია ჩაითვლება მიღებულად და საჩივარი თანხის დაბრუნებაზე არ მიიღება.

5.6. ბარათის საშუალებით შეძენილი საქონლის/მომსახურების ხარისხთან და/ან რაოდენობასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყვიტოს შესაბამის სავაჭრო

დაწესებულებასთან. ასეთ შემთხვევაში კლიენტი ბანკის მიერ არ თავისუფლდება სადავო ტრანზაქციიდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულებისაგან.

5.7. კლიენტი ვალდებულია დაფაროს ბარათით მომსახურების საკომისიოები, რომლებიც დადგენილია ბანკის მიერ ბარათით მომსახურების ტარიფებით.

6. ბანკის უფლება-მოვალეობები

6.1. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს ბარათით მომსახურების ზოგადი პირობები და ტარიფები კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე. ბანკი აღნიშნული ცვლილების შესახებ განცხადებას განათავსებს ფილიალებში/სერვისცენტრებში თვალსაჩინო ადგილზე, ცვლილებამდე ორი კვირით ადრე. კლიენტი ვალდებულია გაეცნოს აღნიშნულ ცვლილებებს.

6.2. თუ კლიენტი არ ეთანხმება ბარათით მომსახურების ზოგად პირობებში და ტარიფებში შეტანილ ცვლილებებს, მაშინ იგი ვალდებულია ცვლილების ვადაში შესვლამდე წერილობით აცნობოს ბანკს ბარათის დახურვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გაუგრძელდება მომსახურება შეცვლილი პირობებითა და ტარიფებით.

6.3. ბანკი ვალდებულია დაიცვას კლიენტის პერსონალური მონაცემების და საბარათე ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ჩატარებული ოპერაციები, ნაშთები და სხვ.). გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ან/და ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საბარათე სისტემაში მონაწილეობასთან.

6.4. ბანკი ვალდებულია კლიენტის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას ამონაწერი საბარათე ოპერაციებზე.

6.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ ბარათით შეძენილი საქონლის/მომსახურების ხარისხზე და/ან რაოდენობაზე.

6.6. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე დროებით დაბლოკოს ბარათი თუ:

- არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ბარათით არასანქცირებული ოპერაციების განხორციელების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ბანკის მიერ ბარათი დაბლოკილი იქნება ტრანზაქციების გარკვევამდე, არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა.
- კლიენტმა არ გადაიხადა საკრედიტო ბარათის სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო შენატანი.

6.7. ბანკი უფლებამოსილია დახუროს ბარათი იმ შემთხვევაში თუ:

- დამზადებული ბარათი არ წაიღო კლიენტმა ბარათის შეკვეთიდან სამი თვის განმავლობაში;
- ბანკომატის მიერ დაკავებული ბარათი არ წაიღო კლიენტმა 3 თვის განმავლობაში.
- კლიენტი ვადაგადაცილებაშია 90 დღის განმავლობაში.

მუხლი 27[1]. ტერმინთა განმარტება საკრედიტო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაცემულია „ევროპის საინვესტიციო ბანკთან“ (EIB) თანამშრომლობის ფარგლებში *(2020 წლის 21 აგვისტომდე გაცემული სესხებისთვის)*

„თანხების გამოყოფის შესახებ წერილი“ ნიშნავს ევროპის საინვესტიციო ბანკის წერილს, რომლითაც ის ბანკს ატყობინებს, თუ რომელი პროექტები დაფინანსდება ევროპის საინვესტიციო ბანკის თანხებით და რა მოცულობით.

„დაფინანსების მოთხოვნა“ ნიშნავს ბანკის მიერ ევროპის საინვესტიციო ბანკისთვის გაგზავნილ მოთხოვნას, იმ პროექტების თანდართული სიით, რომლის დაფინანსებასაც ითხოვს ბანკი ევროპის საინვესტიციო ბანკისგან.

„გარემო“, ადამიანების ჯანმრთელობასთან და სოციალურ კეთილდღეობასთან მიმართებაში, ნიშნავს შემდეგს:
(ა) ფაუნა და ფლორა;
(ბ) ნიადაგი, წყალი, ჰაერი, კლიმატი და ლანდშაფტი; და
(გ) კულტურული მემკვიდრეობა და გარემო;
ასევე შეუზღუდავად მოიცავს პროფესიული და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და უსაფრთხოებას.

„გარემოსდაცვითი კანონები“ ნიშნავს:
(ა) ევროკავშირის კანონს, პრინციპებისა და სტანდარტების ჩათვლით, რომელიც მიღებულია საქართველოს კანონებით ან რომელსაც განსაზღვრავს ბანკი წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე;
(ბ) საქართველოს კანონებსა და მარეგულირებელ წესებს; და
(გ) მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლის მთავარი მიზანია გარემოს შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება.

„ტერორიზმის დაფინანსება“ ნიშნავს ნებისმიერი საშუალებით ფულადი სახსრების უზრუნველყოფას ან შეგროვებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, იმ განზრახვით, რომ ეს სახსრები მოხმარდეს ან მოხმარდება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი იმ დანაშაულის დაფინანსებას, რომელიც მითითებულია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ევროკავშირის 2002 წლის 13 ივნისის 2002/475/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების 1-4 მუხლებში.

„ფულის გათეთრება“ ნიშნავს:

(ა) ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ეს ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღბოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაეწიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში;

(ბ) ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად;

(გ) ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება, როდესაც პირმა ქონების მიღების დროს იცის, რომ ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად; ან

(დ) ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიღება, ჩადენისთვის ჯგუფში გაერთიანება ან კონსპირაცია, ჩადენის მცდელობა ან ჩადენაში დახმარება, წაქეზება, ხელის შეწყობა და რჩევების მიცემა.

„**აკრძალული ქმედება**“ ნიშნავს ტერორიზმის დაფინანსებას, ფულის გათეთრებას ან აკრძალულ პრაქტიკას.

„აკრძალული პრაქტიკა“ ნიშნავს:

(ა) იძულების პრაქტიკას, რაც გულისხმობს ნებისმიერი მხარისთვის ან მხარის ქონებისთვის ზიანის მიყენებას ან დაკნინებას, ან ზიანის მიყენების ან დაკნინების მუქარას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით;

(ბ) საიდუმლო შეთქმულებების პრაქტიკას, რაც გულისხმობს ორ ან მეტ მხარეს შორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს არასათანადო მიზნის მიღწევას, მათ შორის სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენას;

(გ) კორუფციის პრაქტიკა, რაც გულისხმობს მხარის მიერ ნებისმიერი ღირებული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით;

(დ) თაღლითობის პრაქტიკა, რაც გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, მათ შორის ფაქტების დამახინჯებას, რასაც შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეჰყავს მხარე ან არსებობს მხარის შეცდომაში შეყვანის მცდელობა, ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღების ან ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით; ან

(ე) დაბრკოლებების პრაქტიკა, რაც გულისხმობს წინამდებარე სესხთან ან პროექტთან მიმართებაში იძულების, საიდუმლო შეთქმულებების, კორუფციის ან თაღლითობის პრაქტიკასთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიებაში დაბრკოლებების შექმნას, როგორიცაა:

(I) გამოძიებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი მტკიცებულების განზრახ განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან დამალვა; ან/და ნებისმიერი მხარის მიმართ მუქარის, დევნის ან დაშინების გამოყენება, რათა ამ უკანასკნელმა გამოძიებასთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხები არ გაამჟღავნოს ან არ გააგრძელოს გამოძიება; ან

(II) ქმედებები, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებას ინფორმაციის შემოწმების ან ინფორმაციაზე წვდომის კუთხით.

„სანქცირებული პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც შეყვანილია ერთ ან რამდენიმე სანქციების სიაში.

„სანქციების სიები” ნიშნავს:

(ა) ნებისმიერი ეკონომიკური, ფინანსური და სავაჭრო ამკრძალავი ზომები და იარაღზე ემბარგო, რომელსაც გამოსცემს ევროკავშირი, ევროკავშირის ხელშეკრულების V კარის მე-2 თავისა და ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების 215-ე მუხლის შესაბამისად, მათ შორის და არა მხოლოდ იმ მასალების შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდებზე: http://ec.europa.eu/external_relations/cfsp/sanctions/consol-list_en.htm და

http://eeas.europa.eu/cfsp/sanctions/docs/measures_en.pdf, რომელშიც დროდადრო ან ნებისმიერ მომდევნო გვერდზე შესულია ცვლილებები და დამატებები; ან

(ბ) ნებისმიერი ეკონომიკური, ფინანსური და სავაჭრო ამკრძალავი ზომები და იარაღზე ემბარგო, რომელსაც გამოსცემს გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს ქარტიის 41-ე მუხლის შესაბამისად, მათ შორის და არა მხოლოდ იმ მასალების შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია გაეროს ოფიციალურ ვებგვერდზე: http://www.un.org/Docs/sc/committees/INTRO.htm, რომელშიც დროდადრო ან ნებისმიერ მომდევნო გვერდზე შესულია ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 27/1[1]. ტერმინთა განმარტება საკრედიტო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაცემულია „ევროპის საინვესტიციო ბანკთან“ (EIB) თანამშრომლობის ფარგლებში

„თანხების გამოყოფის შესახებ წერილი“ ნიშნავს ევროპის საინვესტიციო ბანკის წერილს, რომლითაც ის ბანკს ატყობინებს, თუ რომელი პროექტები დაფინანსდება ევროპის საინვესტიციო ბანკის თანხებით და რა მოცულობით.

„დაფინანსების მოთხოვნა“ ნიშნავს ბანკის მიერ ევროპის საინვესტიციო ბანკისთვის გაგზავნილ მოთხოვნას, იმ პროექტების თანდართული სიით, რომლის დაფინანსებასაც ითხოვს ბანკი ევროპის საინვესტიციო ბანკისგან.

„გარემო“, ადამიანების ჯანმრთელობასთან და სოციალურ კეთილდღეობასთან მიმართებაში, ნიშნავს შემდეგს:

(ა) ფაუნა და ფლორა;

(ბ) ნიადაგი, წყალი, ჰაერი, კლიმატი და ლანდშაპტი;

(გ) კულტურული მემკვიდრეობა; და

(დ) ანთროპოგენური გარემო,

ასევე შეუზღუდავად მოიცავს პროფესიული და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და უსაფრთხოებას.

„გარემოსდაცვითი კანონები“ ნიშნავს:

(ა) ევროკავშირის კანონს, პრინციპებისა და სტანდარტების ჩათვლით, რომელიც მიღებულია საქართველოს კანონებით;

(ბ) საქართველოს კანონებსა და მარეგულირებელ წესებს; და

(გ)საქართველოს მიერ ხელმოწერილ და რატიფიცირებულ ან სხვაგვარად მოქმედ და სავალდებულო ძალის მქონე შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კონვენციებს, რომელთა მთავარი მიზანია გარემოს შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება.

„ტერორიზმის დაფინანსება“ ნიშნავს ნებისმიერი საშუალებით ფულადი სახსრების უზრუნველყოფას ან შეგროვებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, იმ განზრახვით, რომ ეს სახსრები მოხმარდეს ან მოხმარდება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი იმ დანაშაულის დაფინანსებას, რომელიც მითითებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 15 მარტის (EU) 2017/541 დირექტივაში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ცვლის საბჭოს 2002/475/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებას და რომლითაც ცვლილებები შედის საბჭოს 2005/671/JHA გადაწყვეტილებაში (პერიოდულად შესწორებული, ჩანაცვლებული ან ხელახლა ამოქმედებული)

„ფულის გათეთრება“ ნიშნავს:

(ა) ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ეს ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად, იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღბოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაეწიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში;

(ბ) ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად;

(გ) ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება, როდესაც პირმა ქონების მიღების დროს იცის, რომ ქონება მიღებულია დანაშაულებრივი ქმედების ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად; ან

(დ) ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის მიღება, ჩადენისთვის ჯგუფში გაერთიანება ან კონსპირაცია, ჩადენის მცდელობა ან ჩადენაში დახმარება, წაქეზება, ხელის შეწყობა და რჩევების მიცემა.

„**აკრძალული ქმედება**“ ნიშნავს ტერორიზმის დაფინანსებას, ფულის გათეთრებას ან აკრძალულ პრაქტიკას.

„აკრძალული პრაქტიკა“ ნიშნავს:

(i) იძულების პრაქტიკას, რაც გულისხმობს ნებისმიერი მხარისთვის ან მხარის ქონებისთვის ზიანის მიყენებას ან დაკნინებას, ან ზიანის მიყენების ან დაკნინების მუქარას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით;

(ii) საიდუმლო შეთქმულებების პრაქტიკას, რაც გულისხმობს ორ ან მეტ მხარეს შორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს არასათანადო მიზნის მიღწევას, მათ შორის სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენას;

(iii) კორუფციის პრაქტიკა, რაც გულისხმობს მხარის მიერ ნებისმიერი ღირებული ნივთის შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით;

(iv) თაღლითობის პრაქტიკა, რაც გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, მათ შორის ფაქტების დამახინჯებას, რასაც შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეჰყავს მხარე ან არსებობს მხარის შეცდომაში შეყვანის მცდელობა, ფინანსური (მათ შორის, ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, დაბეგვრასთან დაკავშირებული) ან სხვა სარგებლის მიღების ან ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით; ან

(v) დაბრკოლებების პრაქტიკა, რაც გულისხმობს წინამდებარე სესხთან ან პროექტთან მიმართებაში იძულების, საიდუმლო შეთქმულებების, კორუფციის ან თაღლითობის პრაქტიკასთან დაკავშირებით წარმოებულ გამოძიებაში დაბრკოლებების შექმნას, როგორიცაა, (ა) გამოძიებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი მტკიცებულების განზრახ განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან დამალვა; ან/და ნებისმიერი მხარის მიმართ მუქარის, დევნის ან დაშინების გამოყენება, რათა ამ უკანასკნელმა გამოძიებასთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხები არ გაამჟღავნოს ან არ გააგრძელოს გამოძიება; ან (ბ) ქმედებები, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებას ინფორმაციის შემოწმების ან ინფორმაციაზე წვდომის კუთხით. ან

(vi) საგადასახადო დანაშაული ნიშნავს ყველა სამართალდარღვევას, მათ შორის საგადასახადო დანაშაულს, რომელიც ეხება პირდაპირ გადასახადებს და არაპირდაპირ გადასახადებს და განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან პატიმრობით არა უმეტეს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

„სანქცირებული პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს (ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ტერმინი იურიდიული პირი მოიცავს, და არა მხოლოდ, ნებისმიერ მთავრობას, ჯგუფს ან ტერორისტულ ორგანიზაციას), რომელიც არის სანქციების სამიზნე ან სხვაგვარად წარმოადგენს სანქციების საგანს.

„შესყიდვების გზამკვლევი“ ნიშნავს შესყიდვების სახელმძღვანელოს, რომელიც EIB-ის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული და EIB-ის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული პროექტების პრომოუტერებს ინფორმაციას აწვდის პროექტისთვის საჭირო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის ღონისძიებების შესახებ.

„გამონაკლისი მდგომარეობა“ ნიშნავს, რომ შესაბამისი სუბიექტი/მსესხებელი აღმოჩნდება რომელიმე შემდეგ სიტუაციაში:

ა) სუბიექტი/მსესხებელი გაკოტრდა ან ლიკვიდაციას ექვემდებარება, მის საქმეებს სასამართლოებში განიხილავენ, ამ კონტექსტში შეთანხმება დადო კრედიტორებთან, ბიზნეს საქმიანობა შეაჩერა, ამ საკითხებთან დაკავშირებით მასზე სამართალწარმოება მიმდინარეობს ან ეროვნული კანონმდებლობითა და რეგულაციებით გათვალისწინებული მსგავსი პროცედურის შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფება;

ბ) სუბიექტი/მსესხებელი ან წარმომადგენლობის, გადაწყვეტილების მიღების ან მასზე კონტროლის უფლებამოსილების მქონე პირი, კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე, ნასამართლევია პროფესიულ ქცევასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის, რაც გავლენას მოახდენს მის მიერ ქვესაფინანსო დოკუმენტის შესრულების შესაძლებლობაზე;

გ) სუბიექტზე/მსესხებელზე ან წარმომადგენლობის, გადაწყვეტილების მიღების ან მასზე კონტროლის უფლებამოსილების მქონე პირზე გამოტანილია და კანონიერ ძალაშია შესული განჩინება თაღლითობის, კორუფციის, კრიმინალურ ორგანიზაციაში მონაწილეობის, ფულის გათეთრების ან ევროკავშირის ფინანსური ინტერესებისთვის საზიანო სხვა უკანონო ქმედებების გამო;

დ) მსესხებლად ან საბოლოო ბენეფიციარად (გარემოებიდან გამომდინარე) შერჩევისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებისას ფაქტებს ამახინჯებს ან საერთოდ არ აწვდის ამ ინფორმაციას; და

ე) მისი ინფორმაციით, გონივრული გამოკითხვის შემდეგ, სუბიექტი/მსესხებელი შესულია გამონაკლისების ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში, რომელიც შეიქმნა და იმართება ევროკომისიის მიერ 2008 წლის 17 დეკემბრის ევროკომისიის რეგულაციით (EC, Euratom) No1302/2008 გამონაკლისების ცენტრალური მონაცემთა ბაზის შესახებ;

იმ პირობით, რომ (ბ) და (გ) პუნქტები არ გამოიყენება, თუ შესაბამისი სუბიექტი ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი გზით დაადგენს, რომ ადეკვატური ზომებია მიღებული წარმომადგენლობის, გადაწყვეტილების მიღების ან მასზე კონტროლის უფლებამოსილების მქონე პირების მიმართ, რომლებიც სასამართლო განჩინებას ან საბრალდებო განაჩენს ექვემდებარებიან (ბ) და (გ) პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 27². დამატებითი პირობები საკრედიტო ხელშეკრულებისათვის, რომელიც გაცემულია „ევროპის საბჭოს განვითარების ბანკთან“ (CEB) თანამშრომლობის ფარგლებში

1. (CEB) თანამშრომლობის ფარგლებში გაცემული სესხისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. **„კორუფციული საქმიანობა (პრაქტიკა)“** ნიშნავს მეორე მხარისათვის რაიმე ღირებულის (მატერიალური და არამატერიალური) შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, ან ასეთის შეპირებას პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, სხვა მხარის ქმედებებზე არაჯეროვანი ან/და არათანაბარი ზემოქმედების მოხდენის მიზნით;

1.2. **„თაღლითური საქმიანობა (პრაქტიკა)"** ნიშნავს ნებისმიერი ქმედებას ან გადაცდომას, მათ შორის ფაქტების დამახინჯებას, რამაც შეიძლება შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეიყვანოს მხარე, ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღების ან ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით;

1.3. **„იძულებითი ქმედება (პრაქტიკა)”** ნიშნავს რომელიმე მხარისთვის, ან მხარის ქონებისთვის ზიანის მიყენებას, ან ვნების ან ზიანის მიყენების საფრთხის დადგომას პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მხარის ქმედებებზე არაჯეროვანი ან/და არათანაბარი ზემოქმედების მოხდენის მიზნით;

1.4. **„შეთქმულების ქმედება (პრაქტიკა)"** არის შეთანხმება, მოლაპარაკება, ასევე დათანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომლის მიზანია არასათანადო მიზნის მიღწევა, მათ შორის სხვა მხარის ქმედებებზე არაჯეროვანი ან/და არათანაბარი ზემოქმედების მოხდენა;

> 1.1.-1.4. პუნქტებში აღწერილი პრაქტიკა, წინამდებარე დოკუმენტში, ასევე ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებაში, ერთად ან ცალ-ცალკე მოხსენიებულია როგორც **„აკრძალული საქმიანობა (პრაქტიკა)“.**

1.5. **„შესყიდვების სახელმძღვანელო“** არის „ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი“-ს (CEB) ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 2011 წლის სექტემბერში მიღებული შესყიდვების სახელმძღვანელო;

1.6. **„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“** არის ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენცია მიღებული 1950 წლის 04 ნოემბერს (CEST 5) და განახლებული დღემდე;

1.7. **„ევროპის სოციალური ქარტია“** არის 1996 წლის 03 მაისს მიღებული ევროპის სოციალური ქარტია (CEST 163) განახლებული დღემდე;

1.8. **„სესხის რეგულაცია“** არის „ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი“-ს (CEB) ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 2016 წელს მიღებული N1587 რეგულაცია;

1.9. „ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი“-ს (CEB) **„სესხის და პროექტების დაფინანსების პოლიტიკა“** არის „ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი“-ს (CEB) ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 2016 წელს მიღებული N1587 რეგულაცია;

1.10. CEB-ის **„გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის პოლიტიკა“** არის „ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი“-ს (CEB) ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 2016 წელს მიღებული N1588 რეგულაცია;

2. თანამშრომლობის ფარგლებში გაცემული სესხიდან გამომდინარე მხარეთა ვალდებულებები:

2.1. მსესხებელი ვალდებულია ევროპის საბჭოს განვითარების ბანკს (CEB) აცნობოს, თუ მისთვის ცნობილია ან მომავალში ცნობილი გახდება ნებისმიერი სახის აკრძალული საქმიანობის (პრაქტიკის) შესახებ, ან მიიღებს ინფორმაციას ასეთი საქმიანობის (პრაქტიკის) შესახებ;

2.1. ბანკი იღებს ვალდებულებას დროულად გაატაროს ისეთი ზომები, და ამ მიზნებისათვის უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს მსესხებლისაგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია, დოკუმენტი და ა.შ., რასაც ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB) გონივრულად მოითხოვს ნებისმიერი სავარაუდო ან საეჭვო აკრძალული საქმიანობის (პრაქტიკის) გამოძიების ან/და შეწყვიტის მიზნით;

2.2. ბანკი ვალდებულია ევროპის საბჭოს განვითარების ბანკს (CEB) შეატყობინოს ყველა იმ ზომის შესახებ, რომელსაც გაატარებს ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან ამგვარი აკრძალული საქმიანობის (პრაქტიკის) შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის თვალსაზრისით. აღნიშნული მიზნებისათვის, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს მსესხებლისაგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია, დოკუმენტი;

2.3. ბანკი და მსესხებელი იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ნებისმიერი გამოძიების ჩატარებას, რომელსაც ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB) განახორციელებს ზემოაღნიშნული ნებისმიერი აკრძალული საქმიანობის (პრაქტიკის) გამოძიებასა და აღკვეთასთან დაკავშირებით;

2.4. მსესხებელი აცხადებს თანხმობას და ანიჭებს ბანკს უპირობო და გამოუთხოვად უფლებას იმის შესახებ, რომ ბანკმა ნებისმიერი მესამე პირისგან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციისგან, ფიზიკური და იურიდიული პირისგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, დოკუმენტი, თანხმობა და ა.შ. რაც აუცილებელ იქნება ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი-ს (CEB) მოთხოვნების შესასრულებლად/დასაკმაყოფილებლად.

2.5. მსესხებელი ან/და ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს CEB–ს შემდეგი:

2.5.1. მესამე მხარის მიერ მსესხებლის წინააღმდეგ წამოყენებული სარჩელი, გამოთქმული პროტესტი ან უკმაყოფილება, საფუძვლიანი საჩივარი მსესხებლის მიმართ, ან უკვე აღძრული ან მოსალოდნელი სასამართლო პროცესი გარემოს დაცვის ან პროექტთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;

2.5.2. ბანკისთვის ცნობილი ნებისმიერი ფაქტი ან მოვლენა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ან უარყოფითად იმოქმედოს პროექტის განხორციელების პირობებზე. თავის მხრივ მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს აღნიშნული გარემოებ(ებ)ის არსებობის შესახებ;

2.5.3. მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგინოს CEB–ს, ან მოიპოვოს მისთვის წარსადგენად ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რაც საჭიროა სესხის გამოყოფის, პროექტის დაფინანსების შესახებ მოთხოვნით განსაზღვრული ინფორმაციის დასაზუსტებლად ან შესავსებად;

2.5.4. შეატყობინოს CEB–ს მისთვის ცნობილი ნებისმიერი ფაქტი ან შემთხვევა, რომელმაც მისი აზრით შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ან უარყოფითად იმოქმედოს პროექტის განხორციელებაზე ან მსესხებლის საერთო მდგომარეობაზე.

მუხლი 27³. სპეციალური პირობები სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემა“-ის ფარგლებში გაცემული სესხებისათვის

1. მსესხებელი გაცნობილია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის #163 დადგენილებას (მასში შესული ყველა ცვლილება-დამატებებით, შემდგომ „დადგენილება“), მისთვის ნათელი და გასაგებია დადგენილებით მოთხოვნილი წესები და პირობები, გაცნობიერებული აქვს პროგრამაში მონაწილეობის პირობები და იღებს ვალდებულებას მათი ჯეროვნად, დროულად და კეთილსინდისიერად შესრულებაზე; წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის „სააგენტო“-ს წარმოადგენს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, მისი ყველა უფლებამონაცვლე და სამართალმემკვიდრე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
2. საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ფარგლებში (შემდგომში: „სახელმწიფო პროგრამა“), სახელმწიფო პროგრამის ნებისმიერი პირობ(ებ)ის დარღვევის გამო მსესხებლის/თანამსესხებლისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში, მსესხებელი/თანამსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს დაკისრებული პირგასამტეხლო. ამასთან, ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოს ამოღების მიზნებისათვის ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის / თანამსესხებლის / სოლიდარული თავდების ანგარიშებიდან (ნებისმიერ ვალუტაში) უაქცეპტოდ, მათი თანხმობის და დამატებითი შეტყობინების გარეშე, მრავალჯერადად, ჩამოწეროს შესაბამისი ოდებოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს სრულად დასაფარად. იმ შემთხვევაში თუ ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება ეროვნული ვალუტისაგან, თანხის კონვერტაცია მოხდება თანხის ჩამოწერის დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად, რაზეც მსესხებელი/თანამსესხებელი, თავდები აცხადებენ თანხმობას;
3. დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და დადგენილების შესაბამისად, მსესხებელისათვის ცნობილია, რომ სააგენტო უფლებამოსილია მსესხებელზე გაცემული საკრედიტო გარანტიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ბანკთან ან მსესხებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ დროს, განახორციელოს მსესხებლის მიერ მიღებული / რესტრუქტურიზებული / რეფინანსირებული კრედიტის მიზნობრიობის მონიტორინგი და შესრულებაზე კონტროლი;
4. მსესხებელი/თანამსესხებელი, თავდები, იპოთეკით დატვირთული/დაგირავებული ქონების მესაკუთრე აცხადებს თანხმობას, რომ დადგენილებით განსაზღვრული საფუძვლებით, სააგენტოს (სსიპ „აწარმოე საქართველოში“) მიერ ბანკისაგან ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკის მიერ მოხდება მოთხოვნილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიწოდება, გარდა ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციისა;

5. მსესხებელი ასევე თანახმაა სააგენტოს მიერ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში ბანკმა სააგენტოს გადასცეს პროგრამის ფარგლებში გაცემული/რესტრუქტურიზებული/რეფინანსირებული კრედიტ(ებ)ის გრაფიკ(ებ)ი და მასში შესული ყველა ცვლილება/დამატება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. მსესხებელს უფლება აქვს უარი თქვას სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე ნებისმიერ დროს ან/და მოითხოვოს სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული უზრუნველყოფის სხვა უზრუნველყოფით სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლება, რისთვისაც იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე, წერილობით შეატყობინოს ბანკს. ზემოაღნიშნული უფლების განხორციელება დამოკიდებულია ბანკის თანხმობაზე;
7. იმ შემთხვევაში თუ მსესხებლი/თანამსესხებელი, თავდების, იპოთეკით დატვირთული/დაგირავებული ქონების მესაკუთრის მიერ დაირღვევა სახელწიფო პროგრამით სარგებლობის პირობები, დადგენილებით დაკისრებული ვალდებულებები, ასევე ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებითა და წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ნებისმიერი მიზეზით, სააგენტო გააუქმებს, უკან გაიწვევს ან შეამცირებს სესხის უზრუნველყოფას, მსესხებელი იღებს ვალდებულებას შეავსოს სესხის უზრუნველყოფა დაუყოვნებლივ, ან ბანკის მიერ საამისოდ განსაზღვრულ ვადაში. შევსება უნდა მოხდეს ბანკის მიერ მოთხოვნილი ოდენობითა და განსაზღვრული პირობებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებ(ებ)ით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.
8. ბენეფიციარი ადასტურებს, რომ ბანკმა სრულყოფილად გააცნო მისი შემდეგი ვალდებულებები:
   ა) ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს სესხის სრული ათვისება, სააგენტოს მიერ შესაბამისი დადასტურებიდან ათვისებისათვის დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში. დადგენილებით განსაზღვრული ვად(ებ)ის გასვლის შემდეგ მისი მხრიდან სესხის აღების შემთხვევაში, სააგენტოს გარანტია იმოქმედებს სესხის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გაცემული იქნება დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში (აქ ასევე იგულისხმება დადგენილებით და/ან დადგენილების ნებისმიერი დანართით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევები და საქმიანობის სახეები, რომლებისთვისაც შესაძლებელია განსაზღვრული იყოს განსხვავებული ვადები და პირობები);
   ბ) ბენეფიციარისთვის ცნობილია, რომ ბანკი უარს ეტყვის დაფინანსებაზე და შესაბამისად, პროგრამაში მონაწილეობაზე, თუ შემოწმების შედეგად დაადგენს, რომ მეწარმე სუბიექტი არის პროგრამის ბენეფიციარის შვილობილი/მშობელი კომპანია (კომპანია არის თუ არა „შვილობილი/მშვილებელი“, განისაზღვრება დადგენილების შესაბამისად), თუ ისინი საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - სეკ 006-2016 (NACE-Rev-2) ერთსა და იმავე განყოფილებაში და თუ მათ მიერ აღებული სესხის ღირებულება როგორც ცალ-ცალკე, ასევე ჯამურად აღემატება დადგენილებით განსაზღვრულ სესხის მაქსიმალურ მოცულობას.
9. ბენეფიციარს დამატებით ევალება შემდეგი სახის მარკეტინგული ვალდებულებების შესრულება: ა) საქმიანობის განხორციელების ადგილას განათავსოს აბრა წარწერით: „პროექტი განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით“; ბ) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, სატელევიზიო გამოსვლისას, ვალდებულია მოიხსენიოს სააგენტო მხარდაჭერის თაობაზე; გ) პროექტის გახსნა დაიგეგმოს სააგენტოსთან ერთად (აღნიშნული არ ავალდებულებს სააგენტოს ბენეფიციარის მიერ გახსნის ორგანიზებაში მონაწილეობას); დ) ბენეფიციარის მიერ პროდუქციის ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში, შეატყობინოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე; ე) ბენეფიციარის მიერ წარმოებულ პროდუქტზე ასახულ ლოგოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად, განთავსებულ იქნას სააგენტოს ლოგოც (მითითებული სახით):



ვ) ინგლისური ლოგოს შემთხვევაში გამოყენებულ იქნას სააგენტოს ინგლისური ლოგოს ნიმუში (მითითებული სახით):

ENTERPRISE GEORGIA

ზ) წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მარკეტინგული ვალდებულებების (ერთ-ერთის მაინც) დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს პირველ ჯერზე ეძლევა გაფრთხილება, ხოლო ხარვეზის მეორედ აღმოჩენის შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

10. ბანკს და ბენეფიციარს შორის შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს დანართ(ებ)ი, სადაც განისაზღვრება ბენეფიციარის სხვადასხვა ვალდებულებები. დანართ(ებ)ი (მასში შეტანილი ცვლილება-დამატებებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ბანკს და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ბენეფიციარი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს მასში მოცემული ვალდებულებები.

მუხლი 27⁴. სპეციალური პირობები InnovFin-ის მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო მექანიზმისთვის (InnovFin SME Guarantee Facility):

1. მსესხებელი სრულად აცნობიერებს, რომ სესხის გაცემა შესაძლებელი გახდა ევროკავშირის მხარდაჭერით, InnovFin-ის მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო მექანიზმის ხელშეკრულების ფარგლებში. შესაბამისად, იგი სარგებლობს/ისარგებლებს ყველა იმ სარგებელით, რაც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, მათ შორის და არა მხოლოდ: ა) სესხის უზრუნველყოფის სტანდარტული მოთხოვნების შემცირება; ბ) სესხის სტანდარტული საპროცენტო განაკვეთის შემცირება, და სხვა.

2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის, უფლებამოსილ მხარეს წარმოადგენენ ბანკი, ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლო (ECA), ევროკავშირის კომისია, ასევე, მათ წარმომადგენლები (მათ შორის, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (OLAF)) და ევროკავშირის ნებისმიერი სხვა ინსტიტუტი ან ორგანოს. (შემდგომ ტექსტში „უფლებამოსილი მხარე“)

3. მსესხებელი ვალდებულია მოამზადოს, განაახლოს და ნებისმიერი დროს ხელმისაწვდომი გახადოს დოკუმენტაცია და ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია: ა) მის მიერ InnovFin-ის მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო მექანიზმის მიღება/სარგებლობასთან და ამისათვის შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებასთან, აღებული ვალდებულებების შესრულებასთან, კანონთან შესაბამისობასთან; ბ) InnovFin-ის მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში შესაბამისი სარგებელის მიღებასთან; გ) ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც გონივრულობის ფარგლებში იქნება მოთხოვნილი უფლებამოსილი მხარის მიერ მათი უფლებამოსილებების ფარგლებში.

მოცემული ვალდებულებები მოქმედებს სესხის ხელშეკრულების ვადის დასრულებიდან, ან სესხის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში, აღნიშნული თარიღიდან, 7 (შვიდი) წლის ვადით.

4. თუ წინა პუნქტში აღწერილი ვალდებულებების შესრულების დროს აღმოჩნდება, რომ მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია არასრულად ან ხარვეზით არის შენახული, შექმნილი ან გაგზავნილი უფლებამოსილ მხარესთან, შესაბამისი უფლებამოსილი მხარის მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადში (ან უფლებამოსილი მხარის მიერ მისთვის მიცემული უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში), მსესხებელი იღებს ვალდებულებას აღმოფხვრას ყველა შესაბამისი უზუსტობა, ხარვეზი და შეასრულოს უფლებამოსილი მხარის მოთხოვნა და ინსტრუქციები, ასევე წარუდგინოს მას დამატებითი ინფორმაცია, რომელიც იქნება გონივრული საკითხთან მიმართებაში.

5. მხოლოდ ევროკავშირის კომისიის კონტროლისა და მონიტორინგის საქმიანობის კონტექსტში, თუ მსესხებელი არ დაეთანხმება ევროპის საინვესტიციო ფონდის (EIF) უფლებას, თავის ვებ-გვერდზე ან პრეს-რელიზის საშუალებით გამოაქვეყნოს InnovFin მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში დაფინანსებული მსესხებლების შესახებ ინფორმაცია, ევროკავშირის კომისიის უფლება აქვს უშუალოდ მსესხებელისგან მოითხოვოს დამატებითი განმარტებები.

6. მსესხებელი ადასტურებს, რომ სესხის აღების მომენტისათვის არ საქმიანობს და ასევე, სესხის აღების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში არ დაიწყებს, ჩაებმება, დააფინანსებს და ა.შ. საქმიანობას, რომელიც ნებისმიერი ფორმით დაკავშირებულია აკრძალულ საქმიანობასთან/საქმიანობებთან.

7. მსესხებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობა და რეგულაციები, იქნება ეს ადგილობრივი კანონები და რეგულაციები თუ ევროკავშირის კანონები და რეგულაციები, რომლებსაც ის ექვემდებარება და რომელთა დარღვევამ შეიძლება: (ა) უარყოფითი გავლენა მოახდინოს მსესხებელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებაზე. ან (ბ) ზიანი მიაყენოს გარანტორის (ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF)), ევროკავშირის კომისიის ან ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ინტერესებს.

8. მსესხებელი ვალდებულებას იღებს და უზრუნველყოფს, რომ: (ა) ყოველთვის დაიცვას ფულის გათეთრების პრევენციის, ტერორიზმისა და საგადასახადო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ შესაბამისი სტანდარტები და მოქმედი კანონმდებლობა, რომელსაც ის ექვემდებარება; და (ბ) არ იყოს დაფუძნებული, ან არ მოხდინოს საქართველოში დაფუნებული საწარმოს რედომიცილება ისეთი იურისდიქციის ქვეყანაში/ტერიტორიაზე, რომელიც ცნობილია და აღიარებულია როგორც არათანამშრომლური იურისდიქცია, გარდა ისეთი გარემოებებისა, რომლებიც არ არის დამოკიდებული საკუთარ კონტროლზე.

9. მსესხებლისათვის ცნობილია, რომ თუ მისი მხრიდან დაირღვევა ნებისმიერი ვალდებულება, ან სესხის გაცემის შემდეგ გამოვლინდება, რომ იგი ჩართულია, აფინანსებს ან სხვაგვარად დაკავშირებულია აკრძალულ ქმედებასთან და/ან აკრძალულ საქმიანობასთან, ან შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით მსესხებელი ცნობილ იქნება დამნაშავედ თაღლითობაში, რის გამოც უფლებამოსილი მხარე მოითხოვს მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტას, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს მსესხებელთან გაფორმებული ხელშეკრულება და მოითხოვოს მისი მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების დაუყოვნებლივ, ან შეტყობინებაში მითითებულ ვადაში შესრულება.

10. წინა პუნქტში მოცემული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე, მაგრამ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ბანკს სრულად გადაუხადოს:

ა) საკრედიტო ხელშეკრულების და მისგან გამომდინარე დოკუმენტების მიხედვით ბანკის მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მსესხებლისათვის გადახდილი ნებისმიერი სახის და ოდენობის თანხა, რომელიც იქნება ცნობილი უკანონოდ, აღნიშნულ თანხაზე გადახდის დღემდე დარიცხული საპროცენტო სარგებელთან ერთად;

ბ) თუ InnovFin-ის მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო მექანიზმის ხელშეკრულების ფარგლებში ბანკის მოთხოვნით უფლებამოსილი მხარის მიერ მოხდება საგარანტიო თანხის ბანკისათვის ანაზღაურება, თაღლითობის ჩადენაში დანაშავედ ცნობილი მსესხებელი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს აღნიშნული თანხა, მასზე გადახდის დღემდე დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და ნებისმიერი სახის გაწეულ ხარჯთან ერთად;

11. ბანკი შეაგროვებს და ამუშავებს მსესხებელის საბოლოო მიმღებთა პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც გარანტიის მიზნებისთვის, შესაძლოა გადასცეს ევროპის საინვესტიციო ფონდს (EIF), ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) ან/და მათ ნებისმიერ მარწმუნებელს/მათთვის დაფინანსების მიმწოდებელს. მსესხებელისათვის ცნობილია, რომ (ა) მისი სახელი, გვარი, მისამართი და სესხთან დაკავშირებული სხვა პერსონალური ინფორმაცია შეიძლება ეცნობოს EIF-ს, EIB-ს ან/და მათ ნებისმიერ მარწმუნებელს/მათთვის დაფინანსების მიმწოდებელს, რომელთაგან ყველა არის მონაცემთა დამოუკიდებელი დამმუშავებელი, და (ბ) აღნიშნული პერსონალური მონაცემები შეიძლება გახდეს საჯარო.

თავი IV

მუხლი 28. იპოთეკის ხელშეკრულება

1. იპოთეკის საგნის მესაკუთრე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ:
   1.1. იპოთეკის საგანი არ არის ამოღებული ბრუნვიდან ან არ ხასიათდება შეზღუდული ბრუნვადობით და ეკუთვნის მესაკუთრეს საკუთრების უფლების საფუძველზე.
   1.2. ქონების იპოთეკით დატვირთვა არ ეწინააღმდეგება კანონს, სხვა საკანონმდებლო აქტებს და არ არღვევს კანონით დაცულ სხვა პირების უფლებებსა და ინტერესებს;
   1.3. ქონებას არ გააჩნია რაიმე თვისება, რომლის გამომჟღავნების შედეგად ადგილი ექნება მის დანაკარგს ან რაიმე დაზიანებას, ქონება ვარგისია ექსპლუატაციისათვის;
   1.4. არ დატვირთავს აღნაგობის უფლებით იპოთეკის საგანს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
2. იპოთეკის საგნის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ბანკის თანხმობის საფუძველზე;
3. ქონების განადგურების, დაზიანების ან მასზე საკუთრების უფლების გაუქმების შემთხვევაში, მესაკუთრე ვალდებულია ბანკისთვის მისაღებ ვადაში, აღადგინოს ქონება ან შეცვალონ იგი სხვა, იმავე ღირებულების ქონებით ბანკთან შეთანხმებით; ასევე, თუ ქონების ღირებულება შემცირდება ან წარმოიქმნება მისი შემცირების საშიშროება, ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს და მესაკუთრე და/ან მსესებელი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში იპოთეკის ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესაბამისად გადასცეს ბანკს იპოთეკით ან გირავნობით დასატვირთად დამატებითი ქონება ბანკის შერჩევით ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების რომელიმე სხვა უზრუნველყოფა;
4. მესაკუთრე ვალდებულია:

4.1. შეინარჩუნოს ქონების რეალური ღირებულება, უვნებლად შეინარჩუნოს იგი, ასევე დაიცვას ქონება მესამე პირების ხელყოფისა და მოთხოვნებისაგან. ქონების არსებობისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მოახდინოს ასეთი საფრთხის თავიდან აცილება.

4.2. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ქონების დანაკლისის ან მისი დაზიანების საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში;

4.3. გაიღოს ყველა ხარჯი ქონების შენახვისთვის იპოთეკის შეწყვეტის მომენტამდე და აწარმოოს ქონების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი;

5. ბანკს აქვს უფლება დოკუმენტურად და ფაქტიურად შეამოწმოს ქონების არსებობა, მდგომარეობა და შენახვის პირობები და მოსთხოვოს მესაკუთრეს, მიიღოს ქონების შენარჩუნებისათვის საჭირო ზომები.
6. ბანკს აქვს უფლება მოითხოვოს მისთვის სამართავად ქონების გადაცემა, თუ ირკვევა, რომ მესაკუთრე ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს;
7. მესაკუთრეს აქვს უფლება ისარგებლოს ქონებით დანიშნულებისამებრ და არ დაუშვას ქონების მდგომარეობის გაუარესება და მისი ღირებულების შემცირება იმაზე მეტად, რაც გათვალისწინებულია ნორმალური ცვეთით.
8. იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს საკრედიტო მოთხოვნის ოდენობას, მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის საგნის ღირებულება.
9. ქონების შენახვისა და მისი შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი ეკისრება მესაკუთრეს;
10. იპოთეკის ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა, ექვემდებარება ხელშეკრულების დადების და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის იგივე წესს, რაც გათვალისწინებულია თავად იპოთეკის ხელშეკრულებისათვის.
11. მხარეები ვთანხმდებით, რომ ბანკის მიერ ქონების მესაკუთრის ინფორმირება და მისთვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება 15^2 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
12. იპოთეკის ხელშეკრულებაში მოცემული საკონტაქტო ნომრის გარდა, მხარეები ვთანხმდებით, რომ შესაძლებელია გაფორმდეს დამატებითი ან/და სხვა შეთანხმება, სადაც მესაკუთრე დააფიქსირებს თავის დამატებით საკონტაქტო ინფორმაციას. ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს მითითებული საკონტაქტო მონაცემები ნებისმიერი სახის ინფორმაციის მესაკუთრისათვის მისაწოდებლად.
13. კონკრეტული საკომუნიკაციო არხის არჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდება ბანკის მიერ დამოუკიდებლად. ამასთან, ბანკი არ აგებს პასუხს ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის მიერ საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების გამო და/ან შეიცვალა უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე და აღნიშნულის შესახებ კლიენტს არ უცნობებია ბანკისათვის.

მუხლი 29. გირავნობის ხელშეკრულება

1. დამგირავებელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ

1.1 ქონების დაგირავება არ ეწინააღმდეგება კანონს და სხვა საკანონმდებლო აქტებს და არ არღვევს კანონის მიერ დაცულ სხვა პირების უფლებებსა და ინტერესებს;

1.2 ქონება არ არის დაყადაღებული და არაა დატვირთული დამგირავებლის სხვა ვალდებულებებით მესამე პირების სასარგებლოდ;

1.3 ქონებას არ გააჩნია რაიმე თვისება, რომლის გამოვლინების შედეგად ადგილი ექნება მის დაღუპვას, დაზიანებას ან გაფუჭებას, ქონება ვარგისია მისი დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციისათვის;

1.4 გირავნობა ვრცელდება როგორც დაგირავებულ ნივთზე, ასევე მის ნაწილზე, ნივთთა ერთობლიობაზე ან მათ ნაწილებზე, ასევე მის შემადგენელ ნებისმიერ მოძრავ ნივთზე და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე;

1.5 გირავნობის უფლება ვრცელდება ასევე გირავნობის საგნის ნაყოფზეც.

2. გირაოს საგნის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ბანკის თანხმობის საფუძველზე. ამასთან, ბანკი არ არის შეზღუდული გადაწყვეტილების მიღების დროს იმ ფაქტით, რომ ვალდებულება შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს სხვა ქონებით;
3. გირაოს საგნის ნებისმისმიერი მიზეზით შეცვლისას, გირაოს ახალი საგნის საერთო ღირებულება არ უნდა იყოს გირაოს თავდაპირველი საგნის ღირებულებაზე ნაკლები.
4. გირაოს საგნის შეფასების ღირებულების განსაზღვრის მიზნით აშშ დოლარების გადაანგარიშება ლარებში და პირიქით ხორციელდება შეფასების დღისათვის ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.
5. თუ ქონება დაიკარგება ან დაზიანდება ან თუ მასზე საკუთრების უფლება შეწყდება, დამგირავებელი ვალდებულია ბანკისთვის მისაღებ ვადაში აღადგინოს ქონება ან შეცვალოს იგი სხვა, იმავე ღირებულების ქონებით ბანკთან შეთანხმებით; ასევე თუ ქონების ღირებულება შემცირდება ან წარმოიქმნება მისი შემცირების

საშიშროება, დამგირავებელი ვალდებულია ბანკის მიერ დადგენილ ვადაში ბანკის შერჩევით, მის სასარგებლოდ გირავნობის უფლებით დატვირთოს დამატებითი ქონება ან ბანკთან შეთანხმებით წარმოადგინოს უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის რომელიმე სხვა საშუალება;

6. ქონებაზე გირავნობის უფლება წარმოიქმნება ხელშეკრულებაზე გირავნობის ხელმოწერის დღიდან. ხოლო სადაც გირავნობის წარმოშობისათვის სავალდებულოა ხელშეკრულების რეგისტრაცია, მისი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით რეგისტრაციის მომენტიდან.
7. დამგირავებელს არა აქვს დაგირავებული ქონების ადგილსამყოფელის შეცვლის უფლება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
8. ბანკისათვის გირავნობის საგნის გადაცემის შემთხვევაში გირავნობის საგანი მოთავსებული იქნება ქონების მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ მისამართზე.
9. ქონების შენახვის ხარჯები და მისი შემთხვევითი დაღუპვის რისკი მთლიანად ეკისრება დამგირავებელს;
10. დამგირავებელი ვალდებულია:
    10.1. მიიღოს საჭირო ზომები ქონების უვნებლად შენარჩუნებისათვის და ქონების დასაცავად მესამე პირების ხელყოფისაგან;
    10.2. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ქონების დანაკარგის, დაღუპვის ან მისი დაზიანების საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში;
11. ბანკს უფლება აქვს დოკუმენტურად და ფაქტიურად შეამოწმოს ქონების არსებობა, მდგომარეობა და შენახვის პირობები, აგრეთვე მოითხოვოს დამგირავებლისაგან, მიიღოს საჭირო ზომები ქონების შენახვისათვის;
12. დამგირავებლის უფლებამოსილება გამოიყენოს გირავნობის საგანი, უქმდება დავალიანების დაფარვაზე ბანკის წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ და დამგირავებელი ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს ბანკს ქონება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. ქონებისა და დოკუმენტების გადაცემა ფორმდება ქონების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით;
13. ქონების ამოღებაზე მიმართვის ხარჯები, მათ შორის აუქციონის ორგანიზების, ეკისრება მსესხებელს და დამგირავებელს.
14. ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ხარჯების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხა გადაეცემა დამგირავებელს.
15. გარდა გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ბანკს ასევე აქვს უფლება განახორციელოს ქონების მომავალ რეალიზაციასთან დაკავშირებული მიმართვა/გაფრთხილება, დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის შეცვლის წესების დარღვევის შემთხვევაში.
16. დამგირავებელს აქვს უფლება ნებისმიერ მომენტში გააუქმოს ქონების მომავალ რეალიზაციასთან დაკავშირებული მიმართვა და მისი რეალიზაცია, თუ შეასრულებს უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;
17. გირავნობის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, თუ გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს საკრედიტო მოთხოვნის ოდენობას, მხარეები თანხმდებიან, რომ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება გირავნობის საგნის ღირებულება.
18. ბანკს აქვს გირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ვადამდე შესრულების მოთხოვნის უფლება შემდეგ შემთხვევებში:
    18.1 თუ დამგირავებელი არ წარმოადგენს დამატებით ქონებას იპოთეკით ან გირაოთი დასატვირთად ან უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების რომელიმე სხვა უზრუნველყოფას ქონების ღირებულების შემცირების გამო;
    18.2 თუ ქონება დაიკარგება ისეთ გარემოებათა გამო, რომლებზედაც ბანკი არ აგებს პასუხს;
    18.3 თუ დამგირავებელი არ შეასრულებს გირავნობის ხელშეკრულების გათვალისწინებულ რომელიმე პირობას.
19. რეგისტრირებული გირავნობის უფლების შეწყვეტისას ბანკი გადასცემს დამგირავებელს მარეგისტრირებელი ორგანოში წარსადგენ, ვალდებულების შეწყვეტისა და შესაბამისად, გირავნობის უფლების შეწყვეტის შესახებ დამადასტურებელ წერილობით საბუთს. დამგირავებელი ვალდებულია ამ საბუთის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მოახდინოს გირავნობის უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციის ხარჯები ეკისრება დამგირავებელს.
20. ყველა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია გირავნობის საგნის გადატანასთან მისი ბანკისათვის გადასაცემად, ქონების მოვლასა და შენახვასთან დამგირავებლის ხელში მისი არსებობის პერიოდში და ასევე, ბანკისაგან ქონების მიღების შემდეგ მისი მიტანის ხარჯები, ეკისრება დამგირავებელს.

21. ბანკს აქვს უფლება შეცვალოს მისთვის გადაცემული ქონების ადგილსამყოფელი და გადასცეს იგი შესანახად მესამე პირს, რის შესახებაც შეატყობინებს დამგირავებელს.
22. თუ დაგირავებულია საბრუნავი საშუალებები, დამგირავებელი ვალდებულია აწარმოოს სპეციალურ სააღრიცხვო წიგნში ყველა იმ ოპერაციის აღრიცხვა, რომელსაც შედეგად მოჰყვება დაგირავებული ქონების მოცულობის შეცვლა. დამგირავებელი ვალდებულია წარმოუდგინოს ბანკს სააღრიცხვო წიგნი მისი პირველივე მოთხოვნისთანავე.
23. გირავნობის ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა, ექვემდებარება ხელშეკრულების დადების და რეგისტრაციის იგივე წესს, რაც გათვალისწინებულია თავად გირავნობის ხელშეკრულებისათვის.
24. დამგირავებელს არ აქვს გირავნობის საგნის გადამუშავების ან სხვა მოძრავ მივთთან შერწყმის უფლება. აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძელზე. ასევე, შერწყმის შემთხვევაში, ბანკის გირავნობის უფლება არ შეწყდება/გაუქმება, თუ მოხდება გირავნობის საგნის იმგვარად შერწყმა, რაც მისი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას შეუძლებელს გახდის.
25. მხარეები ვთანხმდებით, რომ ბანკის მიერ დამგირავებლის ინფორმირება და მისთვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება 15^2 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
26. გირავნობის ხელშეკრულებაში მოცემული საკონტაქტო ნომრის გარდა, მხარეები ვთანხმდებით, რომ შესაძლებელია გაფორმდეს დამატებითი ან/და სხვა შეთანხმება, სადაც დამგირავებელი დააფიქსირებს თავის დამატებით საკონტაქტო ინფორმაციას. ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს მითითებული საკონტაქტო მონაცემები ნებისმიერი სახის ინფორმაციის დამგირავებლისათვის მისაწოდებლად.
27. კონკრეტული საკომუნიკაციო არხის არჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდება ბანკის მიერ დამოუკიდებლად. ამასთან, ბანკი არ აგებს პასუხს ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება აღრესატის მიერ საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების გამო და/ან შეიცვალა უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე და აღნიშნულის შესახებ კლიენტს არ უცნობებია ბანკისათვის.

მუხლი 30. მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ (ცესიის) ხელშეკრულება

1. ცედენტი ვალდებულია გადასცეს ბანკს მის მფლობელობაში არსებული ყველა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია დათმობილ მოთხოვნის უფლებასთან, მის ოდენობასთან და სხვა.
2. ცედენტი აცხადებს თანხმობას, ბანკმა დაუბრკოლებლად წარუდგინოს ნებისმიერ მესამე პირს მოთხოვნის დათმობის (ცესიის) ხელშეკრულება და მოსთხოვოს მას ცედენტზე შესასრულებელი ნებისმიერი ვალდებულების ბანკისათვის უპირობო შესრულება, იმ ვადაში, რაც დადგენილია შესასრულებელი ვალდებულისთვის.
3. ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს მესამე პირს ცედენტზე შესასრულებელი ვალდებულების მისთვის (ბანკისათვის) შესრულება დათმობილი მოთხოვნის უფლების ფარგლებში.
4. ცესიის ხელშეკრულება მოქმედებს უზრუნველყოფილი საკრედიტო ხელშეკრულებების გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
5. მხარეები ვთანხმდებით, რომ ბანკის მიერ ცედენტის ინფორმირება და მისთვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება 15^2 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
6. ცესიის ხელშეკრულებაში მოცემული საკონტაქტო ნომრის გარდა, მხარეები ვთანხმდებით, რომ შესაძლებელია გაფორმდეს დამატებითი ან/და სხვა შეთანხმება, სადაც ცედენტი დააფიქსირებს თავის დამატებით საკონტაქტო ინფორმაციას. ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს მითითებული საკონტაქტო მონაცემები ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისთვის მისაწოდებლად.
7. კონკრეტული საკომუნიკაციო არხის არჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდება ბანკის მიერ დამოუკიდებლად. ამასთან, ბანკი არ აგებს პასუხს ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება აღრესატის მიერ საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების გამო და აღნიშნულის შესახებ ცედენტს არ უცნობებია ბანკისათვის.

მუხლი 31. ხელშეკრულება თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობის შეასხებ

1. (ამოღებულია).
2. თავდები აცხადებს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და მისი მხრიდან სოლიდარული თავდებობის აღება არ გამომდინარეობს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, ან ძირითადი მოვალის მხრიდან მომდინარე ნებისმიერი სახის დავალებიდან. ასევე ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ აღმოჩნდება/დამტკიცდება მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საწინააღმდეგო

გარემოებები, იგი უარს აცხადებს მოითხოვოს თავდებობისგან გათავისუფლება მიუხედავად იმისა არსებითად გაუარესდა თუ არა ძირითადი მოვალის/მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა; ან მოვალისგან გადახდევინება არსებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო; ან გააჩნია თუ არა კრედიტორს საშუალება მოსთხოვოს მოვალეს ან მის მემკვიდრეს/სამართალმემკვიდრეს საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება მსესხებლის ქმედუუნარობის ან/და უფლებაუნარიანობის დაკარგვის გამო, ან მსესხებლის გარდაცვალების/გაკოტრების/ლიკვიდაციის გამო; ან აქვს თუ არა კრედიტორს თავდების წინააღმდეგ შესრულებაზე სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტი.

3. სოლიდარული თავდები ადასტურებს, რომ დეტალურად არის ინფორმირებული საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ით მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ, იცნობს ზემოხსენებული ხელშეკრულებ(ებ)ის ტექსტებს და სრულად აცნობიერებს ვალდებულებებს, რომლებსაც ის კისრულობს ამ ხელშეკრულების საფუძველზე.
4. ძირითადი მოვალის/მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს აღნიშნულის თაობაზე სოლიდარული თავდების ინფორმირებას მასთან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხის (წერილობით, მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტბანკი, სატელეფონო ზარი და ა.შ.) საშუალებით.
5. ვინაიდან სოლიდარული თავდები თავდებობის ხელშეკრულებით კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მასზე ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტით მსესხებლის უფლებათა და ვალდებულებათა მარეგულირებელი ზოგადი ნორმები.
6. მხარეები ვთანხმდებით, რომ ბანკის მიერ სოლიდარული თავდების ინფორმირება და მისთვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება 15^2 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
7. თავდების განაცხადში მოცემული საკონტაქტო ნომრის გარდა, მხარეები ვთანხმდებით, რომ შესაძლებელია გაფორმდეს დამატებითი ან/და სხვა შეთანხმება, სადაც სოლიდარული თავდები დააფიქსირებს თავის დამატებით საკონტაქტო ინფორმაციას. ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს მითითებული საკონტაქტო მონაცემები ნებისმიერი სახის ინფორმაციის მესაკუთრისათვის მისაწოდებლად.
8. კონკრეტული საკომუნიკაციო არხის არჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდება ბანკის მიერ დამოუკიდებლად. ამასთან, ბანკი არ აგებს პასუხს ინფორმაციის მიუწოდებლობისთვის, თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ ხერხდება ადრესატის მიერ საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების გამო და აღნიშნულის შესახებ სოლიდარულ თავდებს არ უცნობებია ბანკისათვის.